განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ა.(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი

მუნიციპალიტეტი დუშეთი, სოფელ მჭადიჯვრის ფილიალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ხარისხის ექსპერტი: **მაკა ტუკვაძე**
წევრები:
კურიკულუმის ექსპერტი: **თამარ ლომიძე**
კვების დარგში ექსპერტი: **ია იაკობიძე**
სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი: **ინგა კობახიძე**

ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია

1. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ	
სამართლებრივი ფორმა	**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი**
საფირმო სახელწოდება	**ა.(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი**
საიდენტიფიკაციო ნომერი	**229325101**
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება *(არსებობის შემთხვევაში)*	**მუნიციპალიტეტი დუშეთი, სოფელ მჭადიჯვრის ფილიალი**
სახელწოდება ინგლისურ ენაზე *(არსებობის შემთხვევაში)*	

სექტორი	საჯარო
ინფორმაცია მოთხოვნილი სტატუსის შესახებ	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება
2. საკონტაქტო ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ	
იურიდიული მისამართი *(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)*	დუშეთის მუნიციპალიტეტი, ქ. დუშეთი, შ.რუსთაველის 27
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი *(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)*	მუნიციპალიტეტი დუშეთი, სოფელი მჭადიჯვარი
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ვებ-გვერდი *(არსებობის შემთხვევაში)*	----------
3. ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	
დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)☒	დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)☐
4. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ	
ვიზიტის საფუძველი *(ვიზიტის გრძანების ნომერი და თარიღი)*	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის გრძანება- MES 7 26 0000230676 26/02/2026
ვიზიტის პერიოდი *(თარიღი)*	18 და 19 მარტი
5. ინფორმაცია ბავშვების შესახებ (ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე)	
წინა ავტორიზაციის ფარგლებში საბჭოს მიერ განსაზღვრული ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა	ჩარიცხული ბავშვების რაოდენობა

----------	----------

6. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პროგრამ(ებ)ის შესახებ

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების დანართი №1-ის სახით დამტკიცებული ***"ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესი"***-ს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ იმ პროგრამის სახე/სახეები, რომლის განხორციელებაც სურს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს.

N	პროგრამის სახე[1]	კურიკულუმ(ებ)ის დასახელება	პროგრამის განხორციელების ენა	პროგრამის განხორციელების მიდგომა *(არსებობის შემთხვევაში) (ბილინგვური/ მულტილინგვური)*	თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა	ადრეული განათლების კურიკულუმი ''თამაში'' მეთოდური სახელმძღვანელო 2-6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის	ქართული		30 ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒ არ ეთანხმება ☐

7. ვიზიტის პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ვიზიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები

[1] აისახოს მხოლოდ ის პროგრამა/პროგრამები, რომელიც მითითებულია დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში. პროგრამის სახის სპეციფიკის/რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლებელია დამატებითი ველების.

2026 წლის 18 და 19 მარტს, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება- MES 7 26 0000230676 26/02/2026 -ის საფუძველზე, ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის სოფელ მჭადიჯვრის ფილიალში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შემდეგი შემადგენლობით:

1.მაკა ტუკვაძე-ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (თავმჯდომარე)

2.თამარ ლომიძე-კურიკულუმის ექსპერტი:

3. ია იაკობიძე-კვების დარგში ექსპერტი:

4. ინგა კობახიძე-სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი

ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში. ვიზიტის ფარგლებშიც ექსპერტებმა საკუთარი მიმართულებების მიხედვით იმუშავეს დასკვნის მომზადებისთვის საჭირო ინფორმაციის შესაგროვებლად. ვიზიტის განმვალობაში ექსპერტთა ჯგუფმა განახორციალა ყველა ის აქტივობა, რაც გაწერილი იყო წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგით. ჩატარდა დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუები შესაბამისი წესების დაცვით და მათი მხრიდან იყო მიმღებლობა და ხელშეწყობა ვიზიტის სრულფასოვნად განსახორციელებლად.

8. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც დაწესებულების სტატუსის მაძიებლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ბაღის საუკეთესო პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს მშობელთა მხრიდან ბაღის პერსონალის შრომის აღიარება და დაფასება, რაც გამოკვეთილად ჩანს, მშობლების მიერ მომზადებული ბანერით. ბანერზე გამოსახულია თითოეული ბაღის პერსონალის სახელი. ბანერი განთავსებულია ბაღის სივრცეში თვალსაჩინო ადგილზე.

9. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

.....

.....

.....

.....

ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

10. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემა		
სტანდარტი/კომპონენტი	**დაწესებულების თვითშეფასება**	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**
ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების სქემა		
1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
1.1. დაწესებულების მისია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2. სტრატეგიული განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების სქემა[2] *პროგრამის სახე* სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა *კურიკულუმის დასახელება* ადრეული განათლების კურიკულუმი ''თამაში'' მეთოდური სახელმძღვანელო 2-6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის		
2. კურიკულუმი	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2. კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის III სტანდარტის შეფასების სქემა		
3. ოჯახისა და თემის ჩართულობა	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**

3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ავტორიზაციის IV სტანდარტის შეფასების სქემა		
4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☒ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2. პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.3. მატერიალური რესურსი	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.7.ფინანსური რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი III. ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან შესაბამისობის აღწერა, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

სარჩევი

1.1. დაწესებულების მისია
1.2. სტრატეგიული განვითარება
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა
2.2. კურიკულუმის განხორციელება
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება
4.2. პროცესების მართვა
4.3. მატერიალური რესურსი
4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი
4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები
4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება
4.7. ფინანსური რესურსი

1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1. დაწესებულების მისია

1.1.1. დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში

1. დაწესებულების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ მჭადიჯვრის ფილიალმა (შემდგომში ბაღი) წარმოადგინა მისია, რომელიც წარმოდგენილია ცალკე დოკუმენტის სახით. ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2025 წლის 11 სექტემბრის N250 ბრძანებით დამტკიცებული ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის“ შესაბამისად მისია არ მტკიცდება.

დაწესებულების მისია ჟღერს შემდეგნაირად: ,,შევქმნათ ბავშვზე მორგებული მრავალფეროვანი და უსაფრთხო გარემო, ხელი შევუწყოთ პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებასა და მშობლებთან მჭიდრო კომუნიკაციას, რათა შევძლოთ თითოეული ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილება“

წარმოდგენილი მისიით დაწესებულება ეხმიანება ბავშვთა საუკეთესო ინტერესებს და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს, რამდენადაც მიზნად ისახავს დააკმაყოფილოს ყველა ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებები უსაფრთხო და მრავალფეროვან გარემოში. აღნიშნულის მიღწევას დაწესებულება გეგმავს კვალიფიციური პერსონალისა და მშობელთა ჩართულობით. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ მჭადიჯვრის ფილიალმა მისიასთან ერთად წარმოადგინა ხედვა და ღირებულებები. დაწესებულება ხედვით განსაზღვრავს 10 წლიანი პერიოდს მისიით გაცხადებული მიზნების მისაღწევად და აქცენტს აკეთებს ბავშვის ჰოლისტურ განვითარებასა და ინდივიდუალურ საჭიროებებზე.

დაწესებულების ხედვაა: 10 წელში კომპეტენტური და თავდაჯერებული პერსონალის მიერ დუშეთის ყველა ბაღში ჩამოყალიბებული იქნება ბავშვზე ორიენტირებული ისეთი გარემო, სადაც სრულად იქნება უზრუნველყოფილი მათი ჰოლისტური განვითარება და ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილება.

მისია და ხედვასთან ერთად განსაზღვრულია ღირებულებები, რომელიც ფორმულირებულია შემდეგნაირად:

- პასუხისმგებლობა,
- ობიექტურობა და მიუკერძოებლობა,
- ბავშვის სიყვარული და პატივისცემა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....
..

რჩევა

.....
.....
..

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

3. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2025 წლის 11 სექტემბრის N250 ბრძანებით დამტკიცებული ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“ განსაზღვრავს მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავების პროცესის საკვანძო პრინციპებს. კერძოდ, თანამშრომლობას და გუნდურობას, რაც თავის მხრივ გულისხმობს, პროცესების განხორციელებას დაინტერესებული მხარეების ჩართულობით და პროცესების წარმართვას სამუშაო ჯგუფის ფორმატში. მეთოდოლოგიური დოკუმენტი ასევე განსაზღვრავს სამუშაო ჯგუფის შემადგენლობას.

მეთოდოლოგიის შესაბამისად დუშეთის მჭადიჯვრის ფილიალმა წარმოდგინა ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2025 წლის 17 სექტემბრის N259 ბრძანება, სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ. აღნიშნული ბრძანება განსაზღვრავს სამუშაო ჯგუფის შემადგენლობას, შესასრულებელ სამუშაოს და ჯგუფის უფლებამოსილების ვადას. სამუშო

ჯგუფის წევრებია: სკოლამდელი აღზრდის ცენტრის მეთოდისტი, სკოლამდელი აღზრდის ცენტრის სპეც. მასწავლებელი, ფილიალის დირექტორები, ფილიალის აღმზრდელები და მშობელი. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაშია მმჭადიჯვრის ფილიალის დირექტორი და 2 აღმზრდელი. სამუშაო ჯგუფის წევრების ჩართულობა მისია, ხედვა ღირებულებების შემუშავების პროცესში დასტურდბა სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის N1 და N2 სხდომის ოქმებით.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს მისია, ხედვა ღირებულებების შემუშავების მეთოდოლოგიური დოკუმენტი, რომელიც განსაზღვავს დაინტერესებულ პირებს და მათ ჩართულობას პროცესში. რამდენადაც დაწესებულებაში მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავებაში ჩართული იყო დაინტერესებული მხარეები და წარმდგენილია შესაბამისის მტკიცებულებები **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

.....

.....

..

რჩევა

.....

.....

..

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

..

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2025 წლის 11 სექტემბრის N250 ბრძანებით დამტკიცებული ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის“ განსაზღვრავს მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავების ეტაპებს, მათ შორის, სამუშაო ჯგუფის მიერ, შემუშავებული მისია, ხედვა და ღირებულებების პროექტის გაზიარებას დაინტერესებული მხარეებისთვის და საჯაროობის უზრუნველყოფის მექანიზმებს. ბაღის პერსონალთან ინტერვიუთი დგინდება, რომ მეთოდოლოგიის

შესაბამისად, მჭადიჯვრის ფილიალის დირექტორმა, რომელიც სამუშაო ჯგუფის წევრია, პერონალს გაუზიარეს მისია, ხედვა, ღირებულებების გაზიარება. მტკიცებულებად წარმოდგენილია დასწრების უწყისი და ფოტომასალა. დაწყების უწყისზე თანამშრომელთა ხელმოწერით დასტურდება მისია, ხედვა, ღირებულებების გავნობის და გაზიარების ფაქტი. მისია, ხედვა, ღირებულებების საჯაროობა დასტურდებას ბაღის შენობის ვიზუალური დათვალიერებით, სადაც თვალსაჩინო ადგილზე, საინფორმაციო დაფაზე განთავსებულია დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები. ასევე განთავსებულია მჭადიჯვრის ფილიალის facebook გვერდზე.
აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....
.....
..

რჩევა

.....
.....
..

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....
..

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მისია, ხედვა და ღირებულებების დოკუმენტი
2. ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2025 წლის 11 სექტემბრის N250 ბრძანება ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“ დამტკიცების შესახებ.
3. ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2025 წლის 17 სექტემბრის N259 ბრძანება სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.

4. სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის სხდომის N1 და N2 ოქმები
5.დასწრების უწყისი
6. ინტერვიუს შედეგები
7. . ბაღის შენობის ვიზუალური დათვალიერების შედეგეგბი
8. მჭადიჯვრის ფილიალის facebook გვერდი

შეფასება:			
1.1. დაწესებულების მისია			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

1.2. სტრატეგიული განვითარება

1.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს დაგეგმვის პრაქტიკა

1. დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მჭადიჯვრის ფილიალმა წარმოდგინა ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2025 წლის 11 სექტემბრის N250 ბრძანებით დამტკიცებული ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“, რომელიც წარმოადგენს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიურ დოკუმენტს. მეთოდოლოგიური დოკუმენტი მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. ასევე განსაზღვრავს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას.

მეთოდოლოგიური დოკუმენტი აღწერს მონიტორინგის და შეფასების პროცესიის არსს, პროცესის განხორციელების პერიოდულობას- სტრატეგიული გეგმის შემთხვევაში ორჯერ, შუალედურ პერიოდში (2,5 წელს) და ბოლოს. ხოლო სამოქმედო გეგმის მონიტორინგი წელიწადში ორჯერ, ხოლო შეფასება წლიურად. ასევე განსაზღვრავს, პროცესის განმახორციელებლებს- სამუშაო ჯგუფის სახით, პროცესის შედეგების დოკუმენტირების ფორმას-ანგარიშების წარდგენით და საჯაროობის უზრუნველყოფის მექანიზმებს. მეთოდოლოგიური დოკუმენტის მე-4 მუხლი განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში ჩართული დაინტერესებული პირების ჩამონათვალს. აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორით განსაზღვრული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

.....

.....

.

რჩევა

.....

.....

..

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მჭადიჯვრის ფილიალმა წარმოდგინა ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2025 წლის 31 დეკემბრის N472 ბრძანებით დამტკიცებული, ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ 2026-2031 წლების სტრატეგიული გეგმა. დოკუმენტი მოიცავს შემდეგ ინფორმაცია: შესავალი ნაწილი, სტრატეგიის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები, ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ, სიტუაციური ანალიზი, სტრატეგია და მისია, ხედვა ღირებულებები, სტრატეგიული მიზნები და ამოცანები. სტატუსის მაძიებელმა სტრატეგიულ გეგმის შემუშავების მტკიცებულებად წარმოადგინა სტრატეგიული

დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის სხდომის N3 და N4 ოქმები, სადანაც ჩანს, რომ სტრატეგიული გეგმის ფორმირება განხორციელდა შემდეგი ეტაპების თანმიმდევრობით:

- სტრატეგიულ გეგმისთვის swot ანალიზის განხორციელება
- სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების პროექტის შემუშავება
- სტრატეგიული გეგმის პროექტის გაზიარების და უკუკავშირის შეგროვების გზების დაგეგმვა
- სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების პროექტზე მიღებული უკუკავშირის განხილვა
- სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების საბოლოო ვერსიის ფორმულირება

საბოლოოდ ფორმირებული სტრატეგიული გეგმა მოიცავს 4 სტრატეგიულ მიზანს და მიზნების შესაბამისი ამოცანებს. სტრატეგიული მიზნებია:

- პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება
- მშობელთა და თემის ჩართულობის უზრუნველყოფა
- ხარისხიანი საგანმანათლებლო პროცესის ხელშეწყობა
- უსაფრთხო ფიზიკური გარემოსა და მრავალფეროვანი რესურსების უზრუნველყოფა

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით, მონიტორინგის და შეფასების შედეგების საფუძველზე დაწესებულება უზრუნველყოფს ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ სტრატეგიული გეგმის განახლებას, აღნიშნული მიუთითებს დაგეგმვის პროცესის ციკლურობაზე.
სტრატეგიული მიზნები შესაბამისობაშია დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებებთან. გაცხადებული ხედვა, წარმოადგენს სტრატეგიული მიზანების განსაზღვრის საფუძველს, ძირითად ორიენტურს და ღირებულებებთან ერთად ჰქმნის იერარქიულ მიმართებებს მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად. კერძოდ, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება-პასუხობს ორგანიზაციის ხედვას, რომლის მიხედვითაც 10 წელიწადში დუშეთის ყველა ბაღს ეყოლება კომპეტენტური და თავდაჯერებული პერსონალი. მშობელთა და თემის ჩართულობის გაძლიერება- მისიაში მკაფიოდაა ხაზგასმული მშობლებთან მჭიდრო კომუნიკაციის შესახებ. უსაფრთხო ფიზიკური გარემოს და მრავალფეროვანი რესურსების უზრუნველყოფა-მისიაში ხაზგასმულია უსაფრთხო და ბავშვზე მორგებული მრავალფეროვანი გარემოს არსებობაზე. ხარისხიანი საგანმანათლებლო პროცესის ხელშეწყობა-მისიის და ხედვის მთავარი არსია, ჰოლისტური განვითარება და ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილება. მისიით დეკლარირებული მიზნების შესრულებისთვის დაწესებულებამ განსაზღვრა ფუნდამენტური სამუშაო პრონციპები, რომლების ღირებულებების სახითაა ჩამოყალიბებული: პასუხისმგებლობა, ობიექტურობა და მიუკერძოებლობა, ბავშვის სიყვარული და პატივისცემა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულების სტრატეგიული გეგმა არის ხუთწლიანი, ციკლური, სტარატეგიული მიზნები პასუხობს დაწესებულების მიერ დეკლარირებულ მისიას, ხედვას, ღირებულებებს და მოიცავს სტრატეგიული მიზნების შესაბამის ამოცანებს. აღნიშნულიდა გამომდინარე, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

.....

.....

..

რჩევა

.....

.....

..

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მჭადიჯვრის ფილიალმა წარმოდგინა ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2025 წლის 31 დეკემბრის N472 ბრძანებით დამტკიცებული, ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ 2026 წლის სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმა ემთხვევა კალენდარულ წელს და ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას, რამდენადაც მოიცავს სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულ სტრატეგიულ მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. 2026 წლის სამოქმედო გეგმა მოქმედებს ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრში“ შემავალი ყველა ფილიალისთვის, მათ შორის მჭადიჯვრის ფილიალისთვის, რომლისთვისაც განსაზღვრულია კონკრეტული აქტივობები.

სტრატეგიულ გეგმაში აღწერილია დაწესებულების სიტუაციურ ანალიზი, რომელზეც დაყრდნობით შემუშავდა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა. ასევე, ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“ განსაზღვრავს სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიას,

რომლის მიხედვით, სტრატეგიული გეგმიდან და დაწესებულების ყოველწლიური თვითშეფასებიდან გამომდინარე იქმნება სამოქმედო გეგმა, რაც მიუთითებს, დაწესებულების ვალდებულებაზე, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს მოამზადოს თვითსეფასება. სტატუსის მაძიებელმა სამოქმედო გეგმაზე მუშაობის მტკიცებულებად წარმოადგინა სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის N5 და N6 სხდომის ოქმები. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....
.....
..

რჩევა

.....
.....
..

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....
..

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2025 წლის 31 დეკემბრის N472 ბრძანებით დამტკიცებული, ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ 2026 წლის სამოქმედო გეგმა მოიცავს, სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულ სტრატეგიულ მიზნებს, მიზნების შესაბამის ამოცანებს და აქტივობებს. სამოქმედო გეგმის სტრუქტურა ასვე მოიცავს შესრულების გაზომვად ინდიკატორებს, რამდენადაც ინდიკატორის საშუალებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების შედეგების პროგრესის შეფასება რაოდენორივ და თვისობრივ ჭრილში. დაგეგმილი აქტივობების შესრულების რეალისტურ ვადებს, რადგან გაწერლია კონკრეტულ თვეებსა და პერიოდზე. ამოცანების/აქტივობების შესრულებაზე განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები/ სტრუქტურული ერთეულები, მათი ფუნქციები პოზიციის შესაბამისია. დადგენილი ადამიანური, მატერიალური, ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაგეგმილი აქტივობების განხორციელების შესაძლებლობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....
..

რჩევა

.....
.....
..

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....
..

5. მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2025 წლის 11 სექტემბრის N250 ბრძანებით დამტკიცებულია ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“, რომელიც აღწერს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის და შეფასების პროცესის განხორციელების პერიოდულობას, სტრატეგიული გეგმის შემთხვევაში ორჯერ, შუალედურ პერიოდში (2,5 წელს) და ბოლოს. სამოქმედო გეგმის მონიტორინგი წელიწადში ორჯერ , ხოლო შეფასება წლიურად. რამდენადაც სტრტეგიული და სამოქმედო გეგმები შემუშავებულია 2025 წლის ბოლოს. მონიტორინგის და შეფასების პროცესი ჯერ არ დამდგარა. დაგეგმვის მეთოდოლოგიაში გაწერილი მონიტორინგის და შეფასების მექანიზმებით, დაწესებულება იღებს ვალდებულებას სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების მონიტორინგი და შეფასება განახორციელოს დადგენილი წესების შესაბამისად. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....
.....
.
რჩევა
.....
.....
..
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....
..

6. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2025 წლის 11 სექტემბრის N250 ბრძანებით დამტკიცებულია ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“ განსაზღვრავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების საჯაროობის უზრუნველყოფის მექანიზმებს, ასევე მეთოდოლოგიური დოკუმენტის მიხედვით შეფასების შედეგებს დაწესებულება გამოიყენებს შემდგომი განვითარებისთვის. რამდენადაც სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის და შეფასების პროცესის დრო ჯერ არ დამდგარა, შედგებიც ვერ იქნება საჯარო. **აღნიშნულიდან გამომდინარე,ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია
.....
.....
..
რჩევა

.....
.....
..

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2025 წლის 11 სექტემბრის N250 ბრძანებით დამტკიცებულია ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“,
2. ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2025 წლის 31 დეკემბრის N472 ბრძანებით დამტკიცებული, ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ 2026-20231 წლების სტრატეგიული გეგმა.
3. ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2025 წლის 31 დეკემბრის N472 ბრძანებით დამტკიცებული, ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ 2026 წლის სამოქმედო გეგმა.
6. სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის N3. N4, N5 და N6 სხდომის ოქმები.
7. ინტერვიუს შედეგები

შეფასება:			
1.2. სტრატეგიული განვითარება			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

2. კურიკულუმი [3]

[3] მეორე სტანდარტის „კურიკულუმის“ ყველა ელემენტი ასახულია თითოეული პროგრამისათვის ცალცალკე.

პროგრამის სახე

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა

კურიკულუმის დასახელება

ადრეული განათლების კურიკულუმი ''თამაში'' მეთოდური სახელმძღვანელო 2-6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის

2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

1. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმით: ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში'' მეთოდური სახელმძღვანელო 2-6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის, რომელიც დამტკიცებულია დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის გენერალური დირექტორის N 454 ბრძანებით, ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის" კურიკულუმის და საგანმანათლებლო რესურსების ნუსხის დამტკიცების შესახებ; 19 დეკემბერი 2025წელი; სავალდებულო დანართებში (დანართი-4);

სავალდებულო დანართებში (დანართიN4;) წარმოდგენილია - ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში'' მეთოდური სახელმძღვანელო 2-6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის (2025წ.).

დაწესებულების მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილია შემდეგი მასალები:

- ✓ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანება N454, ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის" კურიკულუმის და საგანმანათლებლო რესურსების ნუსხის დამტკიცების შესახებ; 19 დეკემბერი 2025წელი (დანართიN 4);

- ✓ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანება N469, ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ; 30 დეკემბერი 2025წელი (დანართიN 6);
- ✓ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანება N 401, ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი; 12 ნოემბერი 2025წ. (დანართი 5);
- ✓ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანება #429, ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის დამტკიცების შესახებ; 5 დეკემბერი 2025წ. (დანართი -22);
- ✓ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანება #85, ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ კურიკულუმის შეფასებაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნის შესახებ; 11 მარტი 2025წ.

წარმოდგენილი დოკუმენტები ასახავს, რომ კურიკულუმი, რომლითაც დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ არის შერჩეული. მარეგულირებელი წესის, მუხლი 2. კურიკულუმის შერჩევის თანახმად. კურიკულუმის შერჩევის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნა;
ბ) ჯგუფის მიერ არსებული კურიკულუმების გაცნობა;
გ) კურიკულუმის/კურიკულუმების შერჩევა;
დ) კურიკულუმის/კურიკულუმების დამტკიცება.

ამავე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ეტაპის განხორციელებისათვის, დირექტორის ბრძანებით იქმნება კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი. დაწესებულების მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილია შემდეგი მასალები:

- ✓ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანება N429 ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის დამტკიცების შესახებ; 5 დეკემბერი 2025წ. (დანართი- 22);
- ✓ ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ ცენტრის კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის ოქმი N2(18დეკემბერი); ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრისთვის კურიკულუმის შერჩევა და მინიმალური რესურსების სიის განხილვა;
- ✓ ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ ცენტრის კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის ოქმი N 1 (06.12.2025წ.); ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდეი აღზრდის ცენტრის” ფილიალების საგანმანათლებლო რესურსების მინიმალური ჩამონათვალის მონახაზის მომზადება და კურიკულუმის გაცნობა;
- ✓ ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ ცენტრის კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის ოქმი N 3 (29 დეკემბერი, 2025წ.); ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის” საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის განხილვა;

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

..

რჩევა

.....

.....

..

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმით, ადრეული განათლების კურიკულუმი ''თამაში'' მეთოდური სახელმძღვანელო 2-6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის, კურიკულუმი ეფუძნება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებს. კერძოდ, ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტს და ადრეული და სკოლამდელი და წესებულებების გარემოსა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხის სტანდარტს (პროგრამის ხარისხის სტანდარტი), რაც ბავშვისთვის განმავითარებელ, უსაფრთხო, პოზიტიურ და ხარისხიან საგანმანათლებლო გარემოს შექმნას გულისხმობს და ითვალისწინებს სტანდარტის ისეთ მიმართულებებსაც, როგორიცაა – ოჯახის და თემის მონაწილეობა, კულტურული მრავალფეროვნება და ინკლუზია; კურიკულუმი ჰოლისტურია და თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებს ბავშვის განვითარების ყველა სფეროს, რათა ფართო და მყარი საფუძველი შეუქმნას ბავშვის სწავლასა და კეთილდღეობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს კურიკულუმით, ადრეული განათლების კურიკულუმი ''თამაში'' მეთოდური სახელმძღვანელო 2-6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის. თამაში ამ კურიკულუმის განხორციელების უმთავრესი საშუალებაა. ბავშვზე ცენტრირებული მიდგომის შესაბამისად, ბავშვი მისი სწავლის ცენტრალური ფიგურაა, სადაც უფროსი მის ინტერესს მიჰყვება, ხელს უწყობს სწავლისა და განვითარების ბუნებრივ პროცესს. ეს მიდგომა ხელს უწყობს ბავშვების ცნობისმოყვარეობის, ინტერესის გაღვივებას, ზრდის მოტივაციას და სწავლის შინაგან სურვილს. სწავლა და განვითარება მრავალფეროვან სივრცეებში მონაწილეობით და ჩართულობით ხდება. შემოქმედებითად და გააზრებულად მოწყობილი სივრცეები ხელს უწყობს თამაშით კვლევას, რომელიც ერთდროულად უსაფრთხოც არის და ზომიერ სირთულეებს და რისკსაც მოიცავს. ზემოაღნიშნული კურიკულუმები ეფუძნება თამაშს, რაც ვლინდება შემდეგში:

- ✓ ბავშვებს აქვთ თავისუფალი არჩევანი სასურველი აქტივობების შერჩევისას, თემის შერჩევისას დაცულია ბალანსი, ბავშვის მიერ და უფროსის მიერ შერჩეულ თემათა შორის. კურიკულუმის მიზანია, ბავშვებმა თავად მოიძიონ კონფლიქტის გადაჭრის გზები და გამოხატონ საკუთარი აზრი თამაშის საშუალებით;
- ✓ სივრცე ნაწილობრივ არის დაყოფილი ცენტრებად, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის სხვადასხვა ტიპის თამაშისთვის;
- ✓ თემატური ერთეულები ვითარდება თამაშის ფორმატში და ებმის ბავშვის ყოველდღიურ გამოცდილებას;

კურიკულუმს ორი ძირითადი მიზანი აქვს - ჯგუფის ერთობა და კვლევა-აღმოჩენა. ჯგუფის ერთობა მოიცავს როგორც ბავშვების ინდივიდუალურ, სოციალურ, ემოციურ, კომუნიკაციურ უნარებზე ზრუნვას, ისე - ჯგუფის წევრებს შორის ურთიერთობების ხელშეწყობას და ერთ მთლიან გუნდად ჩამოყალიბებას. კვლევა-აღმოჩენა კვლევის უნართან ერთად ცნობისმოყვარეობას და შემოქმედებით უნარებს აერთიანებს. ეს, თავის მხრივ, ისეთ, კიდევ უფრო კონკრეტულ უნარებში ვლინდება, როგორიცაა: ინტერესი სიახლის მიმართ, კითხვების დასმა, ვარაუდების გამოთქმა, ყურადღების კონცენტრაცია, დაკვირვება საგნებსა და მოვლენებზე, ექსპერიმენტირება, კლასიფიკაცია, შედარება, მოვლენებს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირების დამყარება, ანალიზი, კრიტიკული აზროვნება, სიმბოლური აზროვნება, ინტერპრეტაცია, პრობლემის გადაჭრა, შექმნა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

4. კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს კურიკულუმით, ადრეული განათლების კურიკულუმი ''თამაში'' მეთოდური სახელმძღვანელო 2-6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის. დაწესებულების მიერ შერჩეული ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში" მეთოდური სახელმძღვანელო 2-6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის, ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას, რაც ვლინდება: სასწავლო - სააღმზრდელო პროცესში **მშობლის როლის აღიარებაში, მშობელთა შეხვედრების, კონსულტაციებისა და ღია კარის დღეების ორგანიზებაში, ოჯახური რესურსების გამოყენებაში საგანმანათლებლო პროცესის გამდიდრების მიზნით, ოჯახური გარემოსა და საჭიროებების გათვალისწინებაში ინდივიდუალური დაგეგმვისას, კურიკულუმის გადახედვისა და გაუმჯობესების პროცესში მშობელთა შეფასებისა და წინადადებების ინტეგრირებაში.** კურიკულუმში მოცემულია ინფორმაცია, ოჯახებთან თანამშრომლობის მნიშვნელობაზე ბაღის საქმიანობის ეფექტურობასა და ბავშვის განვითარების მხარდაჭერაში. მოცემულია ოჯახის მონაწილეობის სამი მიმართულება: ბაღის საგანმანათლებლო პროცესში და პროგრამულ გადაწყვეტილებებში ოჯახების მონაწილეობის ხელშეწყობა; ბავშვების სწავლისა და განვითარების პროცესში ოჯახების უწყვეტი ჩართულობა; მშობელთა განათლება და ცნობიერების ამაღლება ადრეული განათლების და ადრეულ ასაკში განვითარების მნიშვნელობასა და თავისებურებებზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....
..

რჩევა

.....
.....
..

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

5. კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს კურიკულუმით, ადრეული განათლების კურიკულუმი ''თამაში'' მეთოდური სახელმძღვანელო 2-6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის. ბავშვები ჩართული არიან სხვადასხვა ტიპის აქტივობებში, იძენენ სხვადასხვა ტიპის გამოცდილებებს, რაც უზრუნველყოფს ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობას. აქტივობების დაგეგმვისას გათვალისწინებულია ასაკობრივი და ინდივიადიულური თავისებურებები/საჭიროებები. ასევე გათვალისწინებულია შერეული ასაკობრივი ჯგუფების საჭიროებები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

6. კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს კურიკულუმით, ადრეული განათლების კურიკულუმი ''თამაში'' მეთოდური სახელმძღვანელო 2-6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის. დაწესებულების მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილია დუშეთის

მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის გენერალური დირექტორის **ბრძანება N401, ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის" კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი; 12 ნოემბერი 2025წ. (დანართი 5);** მარეგულირებელი წესის, მუხლი 3. (კურიკულუმის გაზიარება) თანახმად, დაწესებულება შერჩეულ კურიკულუმებს უზიარებს დაინტერესებულ მხარეებს. დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენენ:

ა) მშობლები;

ბ) დაწესებულების პერსონალი;

გ) თემი/მუნიციპალიტეტი;

დ) სხვ.

დაწესებულება კურიკულუმ(ებ)ის გაზიარებისთვის იყენებს „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესში" წინასწარ განსაზღვრულ საკომუნიკაციო საშუალებებს. დაწესებულებამ წარმოადგინა სოციალური ქსელის ბმული: https://www.facebook.com/mch.adijvris.sabavshvo.baghi; https://www.facebook.com/skolamdeliarzrdiscentri. ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ დაწესებულებაში სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში, მშობლებისთვის ინფორმაციის გაზიარებისთვის, არის შექმნილი დახურული ჯგუფები, სადაც ინტენსიურ რეჟიმში იტვირთება, შერჩეული კურიკულუმის გათვალიწინებით, მოკლევადიანი გეგმით განსაზღვრული კვირის თემები, საგანმანათლებლო პერსონალის მიერ დაგეგმილ აქტივობათა ფოტო/ვიდეო მასალა. დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა **დასწრების უწყისი** (20თებერვალი 2026წ.). დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის გენერალური დირექტორის N454 ბრძანების მიხედვით დამტკიცებული ადრეული განათლების კურიკულუმის ,,თამაში" მეთოდური სახელმძღვანელო 2-6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის, გაცნობა/განხილვა შედგა მჭადიჯვრის ფილიალის პერსონალს შორის. თანდართულია ფოტომასალა და ხელმოწერები;
აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია
.....
.....
რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანება N454, ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ კურიკულუმის და საგანმანათლებლო რესურსების ნუსხის დამტკიცების შესახებ; 19 დეკემბერი 2025წელი (დანართი 4);
2. დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანება N469, ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ; 30 დეკემბერი 2025წელი (დანართი 6);
3. დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანება N401, ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი; 12 ნოემბერი 2025წ. (დანართი 5);
4. დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანება N429, ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის დამტკიცების შესახებ; 5 დეკემბერი 2025წ. (დანართი 22);
5. დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანება N85, ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ კურიკულუმის შეფასებაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნის შესახებ; 11 მარტი 2025წ.
6. ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ ცენტრის კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის ოქმი N 2 (18დეკემბერი); ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრისთვის კურიკულუმის შერჩევა და მინიმალური რესურსების სიის განხილვა;

7. ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ ცენტრის კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის ოქმი N 1 (06.12.2025წ.); ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდეი აღზრდის ცენტრის”; ფილიალების საგანმანათლებლო რესურსების მინიმალური ჩამონათვალის მონახაზის მომზადება და კურიკულუმის გაცნობა;

8. ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ ცენტრის კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის ოქმი N 3 (29 დეკემბერი, 2025წ.); ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის” საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის განხილვა;

9. დასწრების უწყისი (20თებერვალი 2026წ.).

შეფასება:			
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგრძლივობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრს, დამტკიცებული აქვს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი, გენერალური დირექტორის ბრძანება N 469, ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“; 30 დეკემბერი 2025წელი (დანართი -6);

მუხლი 3. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა -ს თანახმად:

1. საგანმანათლებელო პროცესის დაგეგმვის ეტაპზე დაწესებულება აყალიბებს კურიკულუმის შესაბამის გეგმებს (შემდგომ - გეგმა/გეგმები).

2. დაწესებულებაში შემუშავებული გეგმები არის მოკლევადიანი, გრძელვადიანი/კალენდარული გეგმა იქმნება თითოეული ჯგუფის აღმზრდელის მიერ, ჯგუფში ბავშვებთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალის ჩართულობით 2-4 თვიანი პერიოდულობით.
3. მოკლევადიანი/მიმდინარე გეგმა იქმნება თითოეული ჯგუფის აღმზრდელის მიერ 1 კვირის პერიოდულობით, ჯგუფში ბავშვებთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალის ჩართულობით
4. გრძელვადიანი და მოკლევდიანი გეგმის შემუშავების პროცესის ზოგად მეთვალყურეობას ახდენს საბავშვო ბაღის მეთოდისტი ან/და დირექტორი;
5. საბავშვო ბაღების მიერ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის გამოიყენება კურიკულუმით გათვალისწინებული მოკლევადიანი გეგმების სარეკომენდაციო ფორმები.

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი, გენერალური დირექტორის ბრძანება N469, ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“; 30 დეკემბერი 2025წელი (დანართი 6). აღნიშნულ დოკუმენტს, დანართის სახით თანდართული აქვს მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმის სარეკომენდაციო ფორმები;

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი, გენერალური დირექტორის ბრძანება N469, ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“; 30 დეკემბერი 2025წელი (დანართი 6)

მუხლი 3. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა, მესამე და მეოთხე პუნქტის თანახმად: მოკლევადიანი/მიმდინარე გეგმა იქმნება თითოეული ჯგუფის აღმზრდელის მიერ 1 კვირის პერიოდულობით, ჯგუფში ბავშვებთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალის ჩართულობით. გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმის შემუშავების პროცესის ზოგად მეთვალყურეობას ახდენს საბავშვო ბაღის მეთოდისტი ან/დირექტორი; აღსანიშნავია, რომ მარეგულირებელი წესის თანდართულ ფაილად გადმოგზავნილ მოკლევადიან და გრძელვადიან გეგმების ბადეში არ არის ცალკე ველად გამოყოფილი პასუხისმგებელი პირების ხელმოწერის ველები, რაც რთულს ხდის იმის დადასტურებას, რომ დაგეგმვის და შევსების პროცესი თანამონაწილეობითია, თუმცა ადგილზე ვიზიტისას, საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორთან (მეთოდისტი), დირექტორთან და აღმზრდელთან ინტერვიუდან ვიღებთ ინფორმაციას, რომ საგანმანათლებლო პროცესს გუნდი გეგმავს ერთად, ბავშვის/ჯგუფის ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, ასევე ადგილზე წარმოდგენილი მოკლევადიანი/გრძელვადიანი გეგმის ბადეში, ფიქსირდება სხვადასხვა საგანმანათლებლო პერსონალის ხელმოწერის ველი. აღმზრდელის თანაშემწესთან გასაუბრებისას მიღებულია ინფორმაციიდან დასტურდება, რომ ის საგანმანთელებლო პროცესში, მისი სამუშაო აღწერილობიდან და ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე, დროის უქონლობის გამო, ჩართულია ნაწილობრივ, მცირე დროით;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული;

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს,აღმზრდელის თანაშემწე აღმზრდელთან ერთად, მარეგულირებელი დოკუმენტის შესაბამისად, სრულად ჩართული იყოს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებულ საქმიანობებში;

რჩევა

სასურველია, პრაქტიკაში განხორციელებულ ან განსახორციელებელ მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების სარეკომენდაციო ფორმებს, საგანმანათლებლო პერსონალის თანამონაწილეობის დასტურად, დაემატოს პასუხისმგებელი პირების ხელმოწერის ველი;

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც აღნიშნულია, რომ ,,დაწესებულება უზრუნველყოფს, აღმზრდელი (აღმზრდელის თანაშემწე), აღმზრდელ-პედაგოგთან ერთად, მარეგულირებელი დოკუმენტის შესაბამისად, სრულად ჩართული იყოს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებულ საქმიანობებში“. განსაზღვრულია შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადა (24 თვე), შესრულებისთვის საჭირო რესურსი და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას, აქედან გამომდინარე ექსპერტთა გუნდის შეფასება იცვლება **ნაწილობრივ შესაბამისობად.**

3. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი, გენერალური დირექტორის ბრძანება N469, ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“; 30 დეკემბერი 2025წელი (დანართი 6)

მარეგულირებელი წესში, მუხლი 10. პორტფოლიოს წარმოება - თანახმად:

1.დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალი აწარმოებს შემდეგი ტიპის პორტფოლიოებს:

ა) ბავშვების ინდივიდუალურ პორტფოლიოს;

ბ) აღმზრდელ-პედაგოგის პორტფოლიოს;

გ) აღმზრდელის პორტფოლიოს;

დ) სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიოს;

2. აღმზრდელის პორტფოლიო მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

ა) დღის განრიგი;

ბ) გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმები;

გ) ინდივიდუალური გეგმები;

დ) საგანმანათლებლო პროცესზე დაკვირვების ჩანაწერები და მათზე რეფლექსია;

3. ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოები მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

ა) ობიექტური დაკვირვების ჩანაწერები;

ბ) ბავშვის შეფასების შემაჯამებელი ანგარიში;

გ) ბავშვის ნამუშევრები ან ბავშვის ნამუშევრის ფოტოები;

დ) ბავშვების ფოტოები სხვადასხვა თამაშისა და აქტივობის დროს;

4.მუსიკის აღმზრდელისა და აღმზრდელის თანაშემწე საგანმანათლებლო ფუნქციით პორტფოლიო მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

ა) მოკლევადიანი გეგმები;

ბ) რეფლექსიური ჩანაწერები;

გ) დღის განრიგი;

5.ინკლუზიის მხარდამჭერი პერსონალის პორტფოლიო მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

ა) ობიექტური დაკვირვების ჩანაწერები;

ბ) ინდივიდუალური გეგმები;

გ) რეფლექსური ჩანაწერები;

შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს, რაც ვლინდება იმაში, რომ დღის განრიგში გათვალისწინებულია ჯგუფის საჭიროებები და ინტერესები. დაცულია ბალანსი აღმზრდელის მიერ ინიცირებულ და ბავშვის მიერ ინიცირებულ თამაშებს შორის, წყნარ და მოძრავ თამაშებს შორის, მცირე და დიდი ჯგუფის აქტივობებს შორის. მოკლევადიან სარეკომენდაციო გეგმის ფორმაში ცალკეა გამოყოფილი ინდივიდუალიზაციის ველი, რეფლექსური ჩანაწერები ფიქსირდება საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიოებში.

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი, გენერალური დირექტორის ბრძანება N469, ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“; 30 დეკემბერი 2025წელი (დანართი 6)

დოკუმენტს, დანართის სახით თანდართული აქვს მოკლევადიანი (დანართი 2) და გრძელვადიანი/კალენდარული გეგმის ფორმა (დანართი 4)

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს ,,საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი, რომელიც დამტკიცებულია გენერალური დირექტორის მიერ ბრძანება N 469, 30 დეკემბერი 2025წელი (დანართი 6);
მარეგულირებელ წესში, მუხლი 8. ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მეთოდები - ს თანახმად:
1.საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანი წარმართვისთვის, დაწესებულება იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებსა და დანერგილი აქვს ამ მიმართულებით თანმიმდევრული პრაქტიკა.
2.დაწესებულება ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასებისათვის იყენებს შემდეგ მეთოდებს:
ა) ობიექტური დაკვირვების ჩანაწერები;
ბ) მოკლე კითხვარები/ჩექლისტები;
3.შეფასებისა და დაკვირვების ფორმები მტკიცდება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით და წარმოდგენილია ამ წესის დანართების სახით; აღნიშნულ დოკუმენტს, დანართის სახით თანდართული აქვს, განვითარების ინდივიდუალური გეგმის ფორმა (დანართი-3), ბავშვის შემაჯამებელი შეფასების ფორმა (დანართი -5);
დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის, გენერალური დირექტორის ბრძანება N86; ა(ა) იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ ბავშვის დაკვირვების კითხვარის დამტკიცების შესახებ: 2-3 წლიანთა, 3-4 წლიანთა, 4-5 წლიანთა და 5-6 წლიანთა ბავშვის დაკვირვების კითხვარი; კურიკულუმი ,,თამაში“ მეთოდური სახელმძღვანელო 2-6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის; (დანართი 1);
საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიურირებისას იკვეთება, რომ ამ ეტაპზე პრაქტიკაში ობიექტური დაკვირვებების ჩაწერა მოხდება რვეულებში/ჟურნალებში, ვინაიდან კურიკულუმი ,,თამაში“ მეთოდური სახელმძღვანელო 2-6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის ახალი დანერგილია დაწესებულებაში (კურიკულუმი დამტკიცებულია დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის გენერალური დირექტორის N454 ბრძანებით, ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ კურიკულუმის და საგანმანათლებლო რესურსების ნუსხის დამტკიცების შესახებ; 19 დეკემბერი 2025წელი), აღნიშნული ფორმების შერჩევა/შესწავლა/გამოყენებაზე მუშაობა საგანმანთლებლო პერსონალთან ახლა მიმდინარეობს;
აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

დაწესებულებაში, პრაქტიკაში კურიკულუმის ,,თამაში მეთოდური სახელმძღვანელო 2-6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის“ სრულად დანერგვის შემდგომ, ფორმები ობიექტური დაკვირვებების ჩანაწერებისთვის, სასურველია დამტკიცებულ იქნას მარეგულირებელი დოკუმენტის შესაბამისად.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

5. თამაში/თამაშის ელემენტები საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის ძირითადი ხერხი არის თამაში/თამაშის ელემენტები, რაც ვლინდება იმაში, რომ დღის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობების დიდი ნაწილი ხორციელდება თამაშის სხვადასხვა ფორმით, საგანმანათლებლო მიზნები ინტეგრირებულია თამაშში ისე, რომ ბავშვები ვითარდებიან და სწავლობენ ბუნებრივ, სახალისო და მოტივირებულ გარემოში. ეს დასტურდება დღის განრიგით.

საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუდან იკვეთება, რომ ბავშვების სივრციდან სივრცეში გადასვლა, ტრანზიციები წარიმართება თამაშის ელემენტებით: შერჩეული კურიკულუმის ,,ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის“ მიხედვით,თამაში საგანამანათლებლო პროცესის,მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია. ტრანზიციისთვის ბაღი გამოიყენებს: 2-3-4 წლიანები -სიმღერას, ზარის რეკვას და ვიზუალურ მანიშნებლებს (ფოტოებზე გამოსახული ბაქტერიები)- ხელის დაბანის დროს, ჰულაპუპს-დილის წრეზე, ეზოში და დარბაზში გასასვლელად - თამაში,, მხიარული მატარებელი’’. 4-5-6 წლიანები: ზარის დარეკვა-ხელის დაბანის დროს. ფრაზა: ‘’ჩვენი დღე დაიწყო ყველანი წრეზე’’- დილის წრე. მხიარული გათვლა -ეზოში და დარბაზში გასასვლელად, ფრაზა: -‘’მოვიმარჯვოთ ხელები ჩენი საქმიანობისათვის’’-აქტივობის დასაწყებად, ფრაზა : ‘’წიგნიერების კუთხე გველოდება’’.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

6. დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადახვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელთან, დაწესებულების დირექტორთან, აღმზრდელ-პედაგოგთან ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება, რომ დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩართვის საშუალება, კერძოდ: დრამატული და წარმოსახვითი თამაშები, შემოქმედებითი და კვლევითი თამაშები, სენსორული, სამაგიდო, მოძრავი, მანიპულაციური და კონსტრუქციული თამაშები, ბავშვებს ყოველდღიურად ეძლევათ როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ თამაშებში ჩართვის შესაძლებლობა.

ვინაიდან საავტორიზაციო ვიზიტის დროს, დაწესებულებაში მიმდინარეობდა გადაუდებელი სარემონტო სამუშაოები, შენობის შიდა სივრცე, ჯგუფური ოთახები იყო გათავისუფლებული ავეჯისა და საგანმანათლებლო რესურსისგან, შესაბამისად ვიზუალური დათვალიერებით ვერ მოხერხდა აღნიშნული ინდიკატორის შეფასება;

გარე სივრცის, ეზოს ვიზუალური დათვალიერებისას იკვეთება, რომ ბავშვებს ყოველდღიურად ნაწილობრივ ეძლევათ ეზოში თავისუფალი, ორგანიზებული თამაშების შესაძლებლობა. ბაღის ეზოში განლაგებულია - გასაძრომ/ასაძრომი მრავალფუნქციური კონსტრუქციები, სასრიალოები, ბალანსის ზამბარიანი ატრაქციონები, განთავსებულია საქვიშე, საქანელები, საჩრდილობლები. ეზოში არის ქარხნული წესით და ბუნებრივი მასალით დამზადებული სკამები, არ არის მაგიდები. დაწესებულების ეზოში არის სივრცე დრამატული თამაშებისთვის, თუმცა განთავსებული მეორადი რესურსი არ არის უსაფრთხო და არის მწირი. ასევე აღსანიშნავია, რომ დაწესებულების ეზოში განთავსებული ე.წ. **„ლაბირინთი“**, რომელიც შეკრულია მახვილი კუთხეებიანი ლითონის კარკასით და ხის ფაქტურით, რომელიც არის ხაოიანი ზედაპირით დაფარული. აღნიშნული კონსტრუქცია საფრთხის შემცველია და ექვემდებარება დემონტაჟს;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ, გადაუდებელი სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ, შიდა სივრცე მოაწყოს შერჩეული კურიკულუმის შესაბამისად: შიდა და გარე სივრცეებში განთავსდეს ვიზუალური მინიშნებები, ჯგუფური ოთახები მოეწყოს ცენტრებად, ცენტრებში თემატურად და ორგანიზებულად გადანაწილდეს საგანმანთლებლო (ბუნებრივი, მეორადი, ქარხნული) რესურსი. გარემო მოეწყოს ისე, რომ დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს ჰქონდეს სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩართვის საშუალება, კერძოდ: დრამატული და წარმოსახვითი თამაშები, შემოქმედებითი და კვლევითი თამაშები, სენსორული, სამაგიდო, მოძრავი, მანიპულაციური და კონსტრუქციული თამაშები, ბავშვებს ყოველდღიურად მიეცეთ საშუალება, როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ თამაშებში ჩართვის შესაძლებლობა. გარემო იყოს ინკლუზიური და პროგნოზირებადი;

დაწესებულებამ უზრუნველყოს გარე სივრცის მოწყობა კურიკულუმის შესაბამისად, ისე, რომ დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს ჰქონდეს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად ისე ჯგუფურად, კერძოდ მოეწყოს სივრცე/ები დრამატული თამაშებისთვის;

დაწესებულებამ უზრუნველყოს გარე სივრცეში, ეზოში განთავსებული ე.წ. ,,ლაბირინთი" -ს დემონტაჟი;

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც აღნიშნულია, რომ დაწესებულება, გადაუდებელი სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ, შიდა სივრცეს მოაწყობს შერჩეული კურიკულუმის შესაბამისად: შიდა და გარე სივრცეებში განთავსდება ვიზუალური მინიშნებები, ჯგუფური ოთახები მოეწყობა ცენტრებად, ცენტრებში თემატურად და ორგანიზებულად გადანაწილდება საგანმანთლებლო (ბუნებრივი, მეორადი, ქარხნული) რესურსი. გარემო მოეწყოს ისე, რომ დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს ჰქონდეს სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩართვის საშუალება, კერძოდ: დრამატული და წარმოსახვითი თამაშები, შემოქმედებითი და კვლევითი თამაშები, სენსორული, სამაგიდო, მოძრავი, მანიპულაციური და კონსტრუქციული თამაშები, ბავშვებს ყოველდღიურად მიეცემათ საშუალება, როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ თამაშებში ჩართვის შესაძლებლობა. გარემო იყოს ინკლუზიური და პროგნოზირებადი; დაწესებულება უზრუნველყოფს გარე სივრცის მოწყობას კურიკულუმის შესაბამისად, ისე, რომ დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს ჰქონდეს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად ისე ჯგუფურად, კერძოდ მოეწყობა სივრცე/ები დრამატული თამაშებისთვის; დაწესებულება უზრუნველყოფს გარე სივრცეში, ეზოში განთავსებული ე.წ. ,,ლაბირინთი" -ს დემონტაჟს". განსაზღვრულია შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადა (24 თვე), შესრულებისთვის საჭირო რესურსი და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას, აქედან გამომდინარე ექსპერტთა გუნდის შეფასება იცვლება ნაწილობრივ შესაბამისობად.

2.2.2. დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი, გენერალური დირექტორის ბრძანება N469, ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“; 30 დეკემბერი 2025წელი (დანართი 6).
მარეგურილებელი წესის, მუხლი 5. საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად რესურსების განსაზღვრა-თანახმად:

- ✓ დაწესებულების მიერ შერჩეული საგანმანათლებლო რესურსი შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეულ კურიკულუმს;
- ✓ დაწესებულების მიერ შერჩეული საგანმანათლებლო რესურსი მოიცავს მზა, მეორად და ბუნებრივ რესურსებს;
- ✓ დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსების შერჩევისას ეფუძნება მრავალფეროვნებისა და მრავალგვაროვნების კრიტერიუმებს;
- ✓ დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსების შერჩევისას ეფუძნება ბავშვის ჰოლისტური განვითარებისთვის განსაზღვრულ სფეროებსა და თემატურ მიმართულებებს;
- ✓ საგანმანათლებლო რესურსის ნუსხა ამ მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების გათვალისწინებით მოიცავს რესურსის სახეობას (დასახელებას) და მინიმალურ რაოდენობას;
- ✓ მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხის განსაზღვრა ხორციელდება საგანმანათლებლო პერსონალის ჩართულობით და მტკიცდება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით;
- ✓ დაწესებულება უფლებამოსილია განსაზღვრული მინიმალური საგანმანათლებლო რესურსი გაამდიდროს და გაამრავალფეროვნოს ამ მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების გათვალისწინებით.

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა:

1. დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანება N454, 19 დეკემბერი, 2025წ. (დანართი 4); ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ კურიკულუმის და საგანმანათლებლო რესურსების ნუსხის დამტკიცების შესახებ;
2. დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი, გენერალური დირექტორის ბრძანება N469, ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“; 30 დეკემბერი 2025წელი (დანართი 6).

აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ფილიალების საგანმანთლებლო რესურსების მინიმალურ ჩამონათვალს, სადაც გათვალისწინებულია რომელი სფეროს განვითარებისკენ მიემართება რესურსი, ასაკი, რაოდენობა და მახასიათებელი. რესურსი და მასალა უნდა უზრუნველყოფდეს ბავშვის განვითარების ხუთივე სფეროს და თემატურ მიმართულებებს. რესურსის მინიმალური ჩამონათვალი გათვლილია ჯგუფში 30 ბავშვზე. საგანმანათლებლო პერსონალთან, მეთოდისტთან, ფილიალის დირექტორთან ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ პრაქტიკაში დაწესებულებას შემუშავებული აქვს რესურსების მოთხოვნა/მიღების შიდა მექანიზმი, კერძოდ: ფილიალის დირექტორის მიერ საგანმანათლებლო პერსონალთან, კვირის ბოლოს იგეგმება სამუშაო შეხვედრა, განიხილავენ მომავალი კვირის დაგეგმილ თემებს, იკვეთება საჭირო რესურსი, რომელიც აქტივობათა განხორციელებისთვის არის საჭირო. რესურსი ჯამდება და ფილიალის დირექტორს გადაეცემა განცხადების სახით. დაჯამებული სახით, გარკვეული პერიოდულობით, ფილიალის დირექტორი მიმართავს ცენტრის გენერალურ დირექტორს. მტკიცებულებად წარმოდგენილია წერილობითი განცხადების/მოთხოვნის ფორმები და მიღების/ჩაბარების აქტები, რომელიც ქრონოლოგიურად ორგანიზებულია და დასტურდება ხელმოწერებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანება N 39, 2 თებერვალი 2026წ. (დანართი 13). ა(ა) იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის" ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ; წესში - მუხლი 4. დაწესებულების რესურსებით უზრუნველყოფის პარამეტრები - ს თანახმად: საგანმანათლებლო რესურსი დაწესებულებაშიმოქმედი კურიკულუმის სპეციფიკიდან გამომდინარე. მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის თანაფარდობა ბავშვთა რაოდენობასთან მიმართებით მოცემულია დეკლარირებულ კურიკულუმში/კურიკულუმის ჩარჩოში;

დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრს, 2025 წლის 30 დეკემბერს, ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის გენერალური დირექტორის N 469 ბრძანებით დამტკიცებული აქვს ,,საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“ (დანართი -6),
მარეგურილებელი წესის, მუხლი 6. საგანმანათლებლო პროცესის რესურსით უზრუნველყოფის ორგანიზება -ს თანახმად:

- ✓ მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების შეძენა ხორციელდება სატენდერო შესყიდვისა და პირდაპირი შესყიდვის გზით;
- ✓ საგანმანათლებლო პროცესისათვის საჭირო მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების საჭიროების შესახებ ინფორმაციის მიღება და აღნიშნული რესურსების შეძენა ხორციელდება შემდეგი სქემის მიხედვით:



- ✓ საგანმანათლებლო რესურსების საჭიროებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება ხორციელდება ყოველწლიურად პერიოდული ინვენტარიზაციის გზით.
- ✓ ბავშვის/ჯგუფის ინტერესებისა და ინდივიდუალური საჭიროებებისთვის, ასევე კურიკულუმის დაგეგმილი თუ დაუგეგმავი საჭიროებისთვის ამ მუხლით განსაზღვრულ მექანიზმთან ერთად დაწესებულებამ შეიძლება გამოიყენოს საგანმანათლებლო რესურსებისთვის თავისუფალი განკარგვის ბიუჯეტი.
  ამ მუხლით განსაზღვრული მექანიზმის გარდა, დაწესებულება ასევე იყენებს რესურსების მოძიების შემდეგ ალტერნატიულ გზებს:
  ა) მოგროვება - მშობლებისა და პერსონალის მიერ მრავალფეროვანი რესურსის შეგროვება კურიკულუმის შესაბამისად;
  ბ) დონაცია - სხვადასხვა ორგანიზაციების დახმარებით საგანმანათლებლო რესურსის მობილიზება;

გ) დამზადება - საკუთარი ძალებით, ასევე მშობელთა მონაწილეობით მრავალგვარი მეორადი და ღია მასალებით რესურსის დამზადება;

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა ინვენტარის აღწერის დოკუმენტაცია/მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია-საინვენტარიზაციო აღწერა-2025წ. დაწესებულებამ წარმოადგინა საგანმანთელებლო რესურსის (საკანცალარიო მასალა, განმავითარებელი სათამაშოები, წიგნები) მიღება-ჩაბარების აქტები.
ვინაიდან საავტორიზაციო ვიზიტის დროს, დაწესებულებაში მიმდინარეობდა გადაუდებელი სარემონტო სამუშაოები, შენობის შიდა სივრცე, ჯგუფური ოთახები იყო გათავისუფლებული ავეჯისა და საგანმანათლებლო რესურსისგან, შესაბამისად ვიზუალური დათვალირებით ვერ მოხერხდა აღნიშნული ინდიკატორის შეფასება.
აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, სადაც აღნიშნული, რომ: ,,დაწესებულებამ, გადაუდებელი სარემონტო სამუშაოები დაასრულა, შიდა სივრცე მოაწყო შერჩეული კურიკულუმის შესაბამისად: ჯგუფური ოთახები მოეწყო ცენტრებად, ცენტრებში თემატურად და ორგანიზებულად გადანაწილდა საგანმანთლებლო (ბუნებრივი, მეორადი, ქარხნული) რესურსი. გარემოში რესურსის გადანაწილება მოხდა ისე, რომ დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩართვის საშუალება, კერძოდ: დრამატული და წარმოსახვითი თამაშები, შემოქმედებითი და კვლევითი თამაშები, სენსორული, სამაგიდო, მოძრავი, საგანმანათლებლო მანიპულაციური და კონსტრუქციული თამაშები. რესურსის რაოდენობის გათვალიწინებით, ბავშვებს ყოველდღიურად აქვთ, როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ თამაშებში ჩართვის შესაძლებლობა. მტკიცებულებად წარმოგიდგენთ ფოტომასალას (იხ. დანართი #1). **აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა გუნდის შეფასება იცვლება სრულ შესაბამისობად.**

.

2.2.3. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების მოწყობა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. ჯგუფური ოთახის და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი, გენერალური დირექტორის ბრძანება N469, ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“; 30 დეკემბერი 2025წელი (დანართი 6).

მარეგულირებელი წესში, მუხლი 7. გარემოს ფიზიკური მოწყობა-ს თანახმად:

- ✓ დაწესებულების ფიზიკური გარემოს მოწყობაში თანაბარწილად ჩართულები არიან დაწესებულების ადმინისტრაცია და საგანმანათლებლო პერსონალი და ეფუძნება ჯგუფის საჭიროებებს.
- ✓ კურიკულუმის განხორციელების პროცესში, ფიზიკური გარემოს ცვლილება ხორციელდება: ა) ბავშვების ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე; ბ) ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე; გ) ბავშვების ინდივიდუალური თავისებურებიდან გამომდინარე; დ) დაგეგმილი აქტივობებისა და თამაშების შესაბამისად.
- ✓ დაწესებულება ჯგუფური ოთახისა და გარე სივრცის მოწყობაზე თანაბარწილად ზრუნავს კურიკულუმის საჭიროებების შესაბამისად.

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი, გენერალური დირექტორის ბრძანება N 469, ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“; 30 დეკემბერი 2025წელი (დანართი -6).

ვინაიდან საავტორიზაციო ვიზიტის დროს, დაწესებულებაში მიმდინარეობდა გადაუდებელი სარემონტო სამუშაოები, შენობის შიდა სივრცე, ჯგუფური ოთახები იყო გათავისუფლებული ავეჯისა და საგანმანათლებლო რესურსისგან, შესაბამისად ვიზუალური დათვალირებით ვერ მოხერხდა აღნიშნული ინდიკატორის შეფასება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ, გადაუდებელი სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ, შიდა სივრცე მოაწყოს შერჩეული კურიკულუმის შესაბამისად: შიდა და გარე სივრცეებში განთავსდეს ვიზუალური მინიშნებები, ჯგუფური ოთახები მოეწყოს ცენტრებად, ცენტრებში თემატურად და ორგანიზებულად გადანაწილდეს საგანმანთლებლო (ბუნებრივი, მეორადი, ქარხნული) რესურსი. გარემო მოეწყოს ისე, რომ დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს ჰქონდეს სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩართვის საშუალება, კერძოდ: დრამატული და წარმოსახვითი თამაშები, შემოქმედებითი და კვლევითი თამაშები, სენსორული, სამაგიდო, მოძრავი, მანიპულაციური და კონსტრუქციული თამაშები, ბავშვებს

ყოველდღიურად მიეცეთ საშუალება, როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ თამაშებში ჩართვის შესაძლებლობა. გარემო იყოს ინკლუზიური და პროგნოზირებადი. დაწესებულებამ უზრუნველყოს გარე სივრცის მოწყობა კურიკულუმის შესაბამისად, ისე, რომ დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს ჰქონდეს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად ისე ჯგუფურად, კერძოდ მოეწყოს სივრცე/ები დრამატული თამაშებისთვის. დაწესებულებამ უზრუნველყოს გარე სივრცეში, ეზოში განთავსებული ე.წ. ,,ლაბირინთი" -ს დემონტაჟი.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც აღნიშნულია, რომ ,,დაწესებულება, გადაუდებელი სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ, შიდა სივრცე მოაწყო შერჩეული კურიკულუმის შესაბამისად, რაც აღწერილია არგუმენტირებული პასუხის წერილში და დანართის სახით გამოგზავნილ ფოტო მასალაში. დაწესებულება უზრუნველყოფს გარე სივრცის მოწყობას კურიკულუმის შესაბამისად, ისე, რომ დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს ექნება სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად ისე ჯგუფურად, კერძოდ მოეწყობა სივრცე/ები დრამატული თამაშებისთვის. დაწესებულება უზრუნველყოფს გარე სივრცეში, ეზოში განთავსებული ე.წ. ,,ლაბირინთი" -ს დემონტაჟს. განსაზღვრულია შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადა (24 თვე), შესრულებისთვის საჭირო რესურსი და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას, აქედან გამომდინარე ექსპერტთა გუნდის შეფასება იცვლება **ნაწილობრივ შესაბამისობად.**

2. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ვინაიდან საავტორიზაციო ვიზიტის დროს, დაწესებულებაში მიმდინარეობდა გადაუდებელი სარემონტო სამუშაოები, შენობის შიდა სივრცე, ჯგუფური ოთახები იყო გათავისუფლებული ავეჯისა და საგანმანათლებლო რესურსისგან, შესაბამისად ვიზუალური დათვალირებით ვერ მოხერხდა აღნიშნული ინდიკატორის შეფასება. დაწესებულების გარე სივრცეში/ეზოში არსებული საგანმანათლებლო რესურსი ნაწილობრივ ხელს უწყობს ბავშვის ჰოლისტურ განვითარებას, თუმცა აღსანიშნავია, რომ არ არის სივრცე/ები დრამატული თამაშებისთვის. უსაფრთხოების დაცვის გათვალიწინებით, დაწესებულებამ უზრუნველყოს გარე სივრცეში, ეზოში განთავსებული ე.წ. ,,ლაბირინთი" -ს დემონტაჟი;
აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ, გადაუდებელი სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ, შიდა სივრცე მოეწყოს შერჩეული კურიკულუმის შესაბამისად: თემატურად და ორგანიზებულად გადანაწილდეს საგანმანთლებლო (ბუნებრივი, მეორადი, ქარხნული) რესურსი.

დაწესებულებამ უზრუნველყოს გარე სივრცის მოწყობა კურიკულუმის შესაბამისად, ისე, რომ დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს ჰქონდეს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად ისე ჯგუფურად, კერძოდ მოეწყოს სივრცე/ები დრამატული თამაშებისთვის;

დაწესებულებამ უზრუნველყოს გარე სივრცეში, ეზოში განთავსებული ე.წ. ,,ლაბირინთი" -ს დემონტაჟი;

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც აღნიშნულია, რომ: ,,დაწესებულებამ გადაუდებელი სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ, შიდა სივრცე მოეწყობს შერჩეული კურიკულუმის შესაბამისად: რაც აღწერილია არგუმენტირებული პასუხის წერილში. დაწესებულება მოახდენს ეზოში განთავსებული ე.წ. ,,ლაბირინთი" -ს დემონტაჟს". განსაზღვრულია შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადა (24 თვე), შესრულებისთვის საჭირო რესურსი და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას, აქედან გამომდინარე ექსპერტთა გუნდის შეფასება იცვლება **ნაწილობრივ შესაბამისობად.**

3. ჯგუფური ოთახები მოწყობილია იმგვარად რომ ბავშვს აქვს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ვინაიდან საავტორიზაციო ვიზიტის დროს, დაწესებულებაში მიმდინარეობდა გადაუდებელი სარემონტო სამუშაოები, შენობის შიდა სივრცე, ჯგუფური ოთახები იყო გათავისუფლებული ავეჯისა და საგანმანათლებლო რესურსისგან, შესაბამისად ვიზუალური დათვალირებით ვერ მოხერხდა აღნიშნული ინდიკატორის შეფასება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ, დაწესებულების მიერ გარემო მოეწყოს შემოქმედებიდათ, რომელიც ხელს შეუწყობს ბავშვზე ორიენტირებულ აქტივობათა დაგეგმვას. დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი ემყარება თამაშზე დაფუძნებული მიდგომას და განსაზღვრავს, რომ საგანმანათლებლო რესურსები უნდა ემსახურებოდეს ბავშვების შემეცნებით, მოტორულ, სენსორულ, სოციალურ და ემოციურ განვითარებას.

დაწესებულების ჯგუფურ ოთახებში, არსებული საგანმანათლებლო რესურსი ორგანიზდეს შემდეგნაირად: ჯგუფური ოთახები აღიჭურვოს მზა, მეორადი და ხარხნული წესით დამზადებული რესურსით, რომლებიც თემატურად იქნება ცენტრებში ორგანიზებული/განაწილებული და რესურსი განთავსდეს ღიად და ბავშვების სიმაღლეზე.

.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, სადაც აღნიშნულია, რომ: ,,სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ, დაწესებულების მიერ გარემო მოეწყო შემოქმედებიდათ, გარემო ხელს შეუწყობს ბავშვზე ორიენტირებულ აქტივობათა დაგეგმვას. საგანმანათლებლო რესურსები ემსახურება ბავშვების შემეცნებით, მოტორულ, სენსორულ, სოციალურ და ემოციურ განვითარებას. დაწესებულების ჯგუფურ ოთახებში, არსებული საგანმანათლებლო რესურსი ორგანიზებულია შემდეგნაირად: ჯგუფური ოთახები აღიჭურვილია მზა, მეორადი და ხარხნული წესით დამზადებული რესურსით, რომლებიც თემატურად არის ცენტრებში ორგანიზებული/განაწილებული და რესურსი განთავსებულია ღიად და ბავშვების სიმაღლეზე. ხარვეზის აღმოფხვრის მტკიცებულებად წარმოგიდგენთ ფოტომასალას (დანართი N1). აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა გუნდის შეფასება იცვლება **სრულ შესაბამისობად.**

2.2.4. დაწესებულებაში მოქმედებს ბავშვზე დაკვირვების და შეფასების პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პერსონალი თანმიმდევრულად იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი, გენერალური დირექტორის ბრძანება N 469, ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“; 30 დეკემბერი 2025წელი (დანართი 6).

მარეგულირებელ წესში მუხლი 8- ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მეთოდები - ს თანახმად:

1. საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანი წარმართვისთვის დაწესებულება იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებსა და დანერგილი აქვს ამ მიმართულებით თანმიმდევრული პრაქტიკა.

2. დაწესებულება ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასებისათვის იყენებს შემდეგ მეთოდებს: ა) ობიექტური დაკვირვების ჩანაწერები; ბ) მოკლე კითხვარები/ჩექლისტები;

3. შეფასებისა და დაკვირვების ფორმები მტკიცდება დაწებულების დირექტორის ბრძანებით და წარმოდგენილია ამ წესის დანართების სახით.

4. ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების თანმიმდევრულობისთვის დაწესებულება მოქმედებს ამ მუხლის მე-5 და მე-5 პუნქტებით დადგენილი სისტემით.

5. დაწებულების მიერ შემუშავებული ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს: ა) ბავშვის ინტერესების გამოვლენას; ბ) ბავშვის პროგრესის დანახვას განვითარების ყველა სფეროში; გ) ოჯახის ჩართულობას ბავშვის შეფასების პროცესში.

6. ბავშვზე დაკვირვებას ახორციელებს აღმზრდელი/აღმზრდელ პედაგოგი და მასში ჩართულია ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი;

7. ბავშვის შეფასებას ახორციელებს აღმზრდელი და მასში ჩართულია ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი და ოჯახი.

8. ბავშვზე დაკვირვება პერმანენტული უწყვეტი პროცესია;

9. ბავშვის შეფასება ხორციელდება წელიწადში ორჯერ.

10. ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგების ანალიზისა და გამოვლენილი საჭიროებებზე რეაგირება ხორციელდება: ა) მოკლევადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით; ბ) გრძელვადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით; დ) საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრის დროს; ე) დაწესებულების სამოქმედო გეგმის შედგენის დროს.

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი, გენერალური დირექტორის ბრძანება N469, ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“; 30 დეკემბერი 2025წელი (დანართი 6).

დოკუმენტს, დანართის სახით თანდართული აქვს ბავშვზე შეფასების ფორმა (დანართი 1), განვითარების ინდივიდუალური გეგმის ფორმა (დანართი#3), ბავშვის შემაჯამებელი შეფასების ფორმა (დანართი -5), ბავშვის შეფასების ინსტრუმენტი/კითხვარი (დანართი -7);

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის, გენერალური დირექტორის ბრძანება #86; ა(ა) იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ ბავშვის დაკვირვების კითხვარის დამტკიცების შესახებ: 2-3 წლიანთა, 3-4 წლიანთა , 4-5 წლიანთა და 5-6 წლიანთა ბავშვის დაკვირვების კითხვარი კურიკულუმ ,,თამაში“ მეთოდური სახელმძღვანელო 2-6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის (დანართი 1);

მეთოდისტთან, საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიურირებისას იკვეთება, რომ ამ ეტაპზე პრაქტიკაში ობიექტური დაკვირვებების ჩაწერა ხდება რვეულებში/ჟურნალებში, ვინაიდან კურიკულუმი ,,თამაში“ მეთოდური სახელმძღვანელო 2-6წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის ახალი დანერგილია დაწესებულებაში და აღნიშნული ფორმების შესწავლა/გამოყენებაზე მუშაობა საგანმანთლებლო პერსონალთან ახლა მიმდინარეობს;

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი არასამეწარმეო (არაკომერციული) ირიდიულ პირს-დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრსა და ა(ა)იპ ასოციაცია ,,**ანიკას**“ შორის (6თებერვალი 2026წ.); მემორანდუმის მიზანია მხარეთ შორის თანამშრომლობის ჩამოყალიბება და გაძლიერება, ინკლუზიური განვითარების და კეთილდღეობის მიზნით. წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში, მხარეები ითანამშრომლებენ შემდეგი მიმართულებით:

- პროფესიული კონსულტაციების და რეკომენდაციების გაცემა;
- გამოცდილების და პრაქტიკის გაზიარება;

საინფორმაციო და საგანმანათლებლო აქტივობების ერთობლივად განხორციელება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. შეფასება ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებების, პროგრესის გამოვლენას განვითარების ყველა სფეროში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი, გენერალური დირექტორის ბრძანება N469, ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“; 30 დეკემბერი 2025წელი (დანართი 6).

მარეგულირებელ წესში, მუხლი 8. ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მეთოდები მეხუთე პუნქტის თანახმად:

- დაწესებულების მიერ შემუშავებული ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს: ა) ბავშვის ინტერესების გამოვლენას; ბ) ბავშვის პროგრესის დანახვას განვითარების ყველა სფეროში; გ) ოჯახის ჩართულობას ბავშვის შეფასების პროცესში.
- ბავშვზე დაკვირვებას ახორციელებს აღმზრდელი/აღმზრდელ პედაგოგი და მასში ჩართულია ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი;
- ბავშვის შეფასებას ახორციელებს აღმზრდელი და მასში ჩართულია ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი და ოჯაახი;
- ბავშვზე დაკვირვება პერმანენტული უწყვეტი პროცესია;
- ბავშვის შეფასება ხორციელდება წელიწადში ორჯერ.
- ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგების ანალიზისა და გამოვლენილი საჭიროებებზე რეაგირება ხორციელდება: ა) მოკლევადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით; ბ) გრძელვადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით; დ) საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრის დროს; ე) დაწესებულების სამოქმედო გეგმის შედგენის დროს.

ადგილზე ვიზიტისას, დირექტორთან და აღმზრდელეთან გასაუბრების საფუძველზე გამოვლინდა, რომ საგანმანათლებლო პერსონალი იყენებს ბავშვის შეფასების შემდეგ მეთოდებს: ა) ობიექტური დაკვირვების ჩანაწერები; ბ) მოკლე კითხვარები; გ) შემაჯამებელი შეფასების ინსტრუმენტი; დ) ინდივიდუალური პორტფოლიო.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის/მოდიფიცირებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი, გენერალური დირექტორის ბრძანება N469, ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“; 30 დეკემბერი 2025წელი (დანართი 6).

მარეგურილებელი წესის თანახმად:

- ბავშვის შეფასება ხორციელდება წელიწადში ორჯერ;
- ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგების ანალიზისა და გამოვლენილი საჭიროებებზე რეაგირება ხორციელდება:
  ა) მოკლევადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით;
  ბ) გრძელვადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით;
  დ) საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრის დროს;
  ე) დაწესებულების სამოქმედო გეგმის შედგენის დროს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. ბავშვის შეფასების პროცესი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი, გენერალური დირექტორის ბრძანება N 469, ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“; 30 დეკემბერი 2025წელი (დანართი -6).
მარეგურილებელი წესის, მუხლი 9. ბავშვის პროგრესის შეფასების შედეგების განხილვა - ს თანახმად:

1. დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას.
2. ბავშვის შეფასების შედეგების განხილვა ბავშვის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხორციელდება ინდივიდუალურად.

ადგილზე ვიზიტისას დირექტორთან, მეთოდისტთან და აღმზრდელთან გასაუბრებისას, მტკიცებულებად წარმოდგენილი ფოტო/ვიდეო მასალით, წარმოებული აქტების საფუძველზე დგინდება , რომ ბავშის დაკვირვებისა და შეფასებისა შედეგების გაცნობის მიზნით, საგანმანათლებლო პერსონალი გარკვეული პერიოდულობით ინდივიდუალურად ხვდებიან მშობლებს. აცნობენ მიღწეულ შედეგებს, ხელს უწყობენ მშობელთა ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში. მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ინდივიდუალური შეხვედრებისთვის გამოყოფილია სივრცე ,,მშობელთა სივრცე“.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....
..

რჩევა

.....
.....
..

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი, გენერალური დირექტორის ბრძანება N 469, ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“; 30 დეკემბერი 2025წელი (დანართი #6)
2. დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის, გენერალური დირექტორის ბრძანება N86; ა(ა) იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ ბავშვის დაკვირვების კითხვარის დამტკიცების შესახებ: 2-3 წლიანთა, 3-4 წლიანთა, 4-5 წლიანთა და 5-6 წლიანთა ბავშვის დაკვირვების კითხვარი კურიკულუმ ,,თამაში“ მეთოდური სახელმძღვანელო 2-6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის (დანართი #1);
3. დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანება N 39, 2 თებერვალი 2026წ. (დანართი -13). ა(ა) იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის” ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ;
4. დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანება N454, 19 დეკემბერი, 2025წ. (დანართი N4); ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ კურიკულუმის და საგანმანათლებლო რესურსების ნუსხის დამტკიცების შესახებ;
5. მჭადიჯვრის ფილიალის დირექტორის ბრძანება(შიდა) N 02; 13.03.2026წ. ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის მჭადიჯვრის ფილიალის დღის განრიგის დამტკიცების შესახებ;
6. საგანმანათლებლო პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:			
2.2. კურიკულუმის განხორციელება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☒	არ შეესაბამება ☐

2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

2.3.1. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების პრაქტიკა

1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს შეფასებას, უკუკავშირს მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანება N401, ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი; 12 ნოემბერი 2025წ. (დანართი 5)

მუხლი 4. კურიკულუმის შეფასება და განვითარება - ს თანახმად:

1. კურიკულუმის შეფასების მიზანია დაწესებულებამ დაადგინოს, რამდენად ეფექტიანად ინერგება კურიკულუმის სხვადასხვა კომპონენტი და რამდენად მიიღწევა კურიკულუმით განსაზღვრული მიზნები.

2. კურიკულუმის შეფასება ხორციელდება 2 წელიწადში ერთხელ.

3. კურიკულუმის შეფასებისთვის დაწესებულების დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი.

4. კურიკულუმის შეფასების პროცესი ეფუძნება: ა) საგანმანათლებლო პროცესის შეფასებას: ბ) ფიზიკური გარემოს შეფასებას; გ) მშობლების უკუკავშირს; დ) საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას;

5. საგანმანათლებლო პროცესის შეფასება გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის სხვადასხვა მახასიათებლის შესახებ ინფორმაციის შეგროვებას და ამ ინფორმაციის ანალიზს იმის დასადგენად, თუ რამდენად უწყობს ხელს პროცესის სხვადასხვა კომპონენტები კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

6. საგანმანათლებლო პროცესის შეფასებისთვის გამოიყენება: ა) საგანმანათლებლო პერსონალის მიერ დოკუმენტაციის (გეგმები, ბავშვის პორტფოლიოები, დაკვირვების ჩანაწერები, ბავშვების შეფასება, განვითარების ინდივიდუალური გეგმა არსებობის შემთხვევაში) ანალიზი; ბ) საგანმანათლებლო პროცესზე დაკვირვების ანალიზი (ფასდება აღმზრდელის მიერ ბავშვებთან ურთიერთობა, ბავშვების ჩართულობა და პროცესში გამოყენებული მიდგომები);

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული შეფასებისათვის დაწესებულება იყენებს მზა სახის კითხვარებს, ხოლო მონაცემების შეგროვებისთვის იყენებს აღმზრდელის მიერ წარმოებულ დოკუმენტაციას (გეგმები, ბავშვების პორტფოლიოები, დაკვირვების ჩანაწერები, ბავშვების შეფასება, განვითარების ინდივიდუალური გეგმა არსებობის შემთხვევაში);

8. ფიზიკური გარემოს შეფასება გულისხმობს ინფორმაციის შეგროვებას იმის შესახებ, თუ რამდენად უწყობს ხელს ფიზიკური გარემო და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო რესურსი კურიკულუმის მიზნების მიღწევას.

9. ფიზიკური გარემოს შეფასებისთვის ხორციელდება: ა) ჯგუფური ოთახების/დაწესებულების შიდა სივრცის მოწყობა/გამოყენების ანალიზი; ბ) ეზოს/გარე სივრცის მოწყობა/გამოყენების ანალიზი.

10. ფიზიკური გარემოს შეფასებისთვის გამოიყენება: ა) ჯგუფზე დაკვირვების შედეგების ანალიზი; ბ) ეზოს/გარე სივრცეზე დაკვირვების შედეგების ანალიზი; გ) ბაღის სხვა სივრცეების (დერეფანი, დარბაზი, მშობლების დაფა) დაკვირვების ანალიზი;

11. ამ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული შეფასებისათვის დაწესებულება იყენებს შესაბამის კითხვარს;

12. მშობლებისგან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება: ა) კითხვარები; ბ) ყოველწლიური თვითშეფასების შედეგები;

13. საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიების ანალიზისთვის გამოიყენება საგანმანათლებლო პერსონალის მიერ წლის განმავლობაში გაკეთებული თვითრეფლექსიები.

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანება N85, 11 მარტი 2026წ. ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ კურიკულუმის შეფასებაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნის შესახებ;

ადგილზე ვიზიტისას, დაწესებულება მტკიცებულებად წარადგინა შემდეგი შეფასების კითხვარები:

- აღმზრდელის თვითრეფლექსიის კითხვარი;
- ჯგუფის ფიზიკური გარემოს შეფასების კითხვარი;
- ეზოს და ბაღის სხვა სივრცეების ფიზიკური გარემოს შეფასების კითხვარი;
- საგანმანათლებლო პროცესის შეფასება დაკვირვებით;
- ინკლუზიის მხარდამჭერი პერსონალის პრაქტიკის შეფასება;
- მშობლის უკუკავშირის კითხვარი;

დაწესებულების შესასვლელ სივრცეში განთავსებული იყო **ანონიმური ყუთი** და შთაბეჭდილებების წიგნი, მშობლების უკუკავშირისთვის;
აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულება აანალიზებს შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცვლილებებს კურიკულუმში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილია დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანება N401, ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი; 12 ნოემბერი 2025წ. (დანართი 5)

მუხლი5. კურიკულუმში ცვლილებების შეტანა და განვითარება - ს თანახმად:

1. კურიკულუმში ცვლილების განხორციელების საფუძველია კურიკულუმის შეფასების საფუძველზე გაკეთებული მიგნებები ან/და რეკომენდაციები.

2. კურიკულუმში განხორციელებული ცვლილებები შესაძლებელია იყოს მასშტაბური ხასიათის ან წერტილოვანი.

3. კურიკულუმში წერტილოვანი ცვლილებები შეიძლება უკავშირდებოდეს: ა) თემატური მიმართულებების მიხედვით კონკრეტული სამიზნე შინაარსის ცვლილებას; ბ) კურიკულუმის მიზნების დაზუსტებასა და რეფორმულირებას; გ) ბავშვზე დაკვირვების კონკრეტული ინსტრუმენტის შეტანას; გ) საგანმანათლებლო რესურსის შეცვლას/გამრავალფეროვნებას; დ) ფიზიკური გარემოს გადაწყობა /გამრავალფეროვნებას; ე) ცვლილებებს ბავშვების მახასიათებელების გათვალისწინების მიდგომებში; ვ) საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ხანგრძლივობის შეცვლას; ზ) ცვლილებებს დროით გარემოში (დღის განრიგში); ი) ცვლილებები ოჯახის და თემის ჩართულობის ნაწილში; კ) კურიკულუმის გაზიარების მექანიზმის სრულყოფას;

4. კურიკულუმში წერტილოვანი ცვლილებები შედის დაწესებულების დირექტორის ბრძანებით.

5. კურიკულუმში მასშტაბური ცვლილებები შეიძლება უკავშირდებოდეს: ა) კურიკულუმის შეცვლას; ბ) შექმნილ კურიკულუმში ახალი კურიკულუმ(ებ)ის დამატებას/ ან ამოღებას .

6. კურიკულუმში მასშტაბური ცვლილებები შედის შემდეგი ეტაპების დაცვით: ა) ამ წესით დადგენილი ეტაპების დაცვით ახალი კურიკულუმი შერჩევა/კურიკულუმის ახალი ჩარჩოს შექმნა; ბ) ხარისხის უზრუნველყოფის გარე პროცესის პროგრამის დამატების გავლა.
დაწესებულებას ამ ეტაპისთვის არ აქვს დანერგილი პრაქტიკაში კურიკულუმის შეფასება და განვითარება,
აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანება N401, ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი; 12 ნოემბერი 2025წ. (დანართი -5);

2. დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის გენერალური დირქტორის ბრძანება #85, 11 მარტი 2026წ. ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ კურიკულუმის შეფასებაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნის შესახებ;

3. აღმზრდელის თვითრეფლექსიის კითხვარი;
4. ჯგუფის ფიზიკური გარემოს შეფასების კითხვარი;
5. ეზოს და ბაღის სხვა სივრცეების ფიზიკური გარემოს შეფასების კითხვარი;
6. საგანმანათლებლო პროცესის შეფასება დაკვირვებით;
7. ინკლუზიის მხარდამჭერი პერსონალის პრაქტიკის შეფასება;
8. მშობლის უკუკავშირის კითხვარი;

შეფასება:
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

შესაბამება ☒	მეტწილად შესაბამება ☐	ნაწილობრივ შესაბამება ☐	არ შესაბამება ☐

3. ოჯახისა და თემის ჩართულობა

3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

3.1.1. დაწესებულება ღიაა ოჯახთან და თემთან თანამშრომლობისთვის

1. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობისთვის წინასწარ გეგმავს აქტივობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანება N5; 15 იანვარი 2026წ. ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის" საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ;

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანება N17, 21 იანვარი 2026წ. ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის" დაქვემდებარებაში მყოფი ფილიალების საკომუნიკაციო გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფის დამტკიცების შესახებ;

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარადგინა დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანება N41; 4 თებერვალი 2026წ. ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის" დაქვემდებარებაში მყოფი ფილიალების საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცების შესახებ. აღნიშნული წესის მე-2 და მე-3 მუხლებით განსაზღვრული აქვს მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობის პროცესი და საკომუნიკაციო აუდიტორიის შერჩევის პრინციპები. კერძოდ, მე-2 მუხლის მიხედვით დაწესებულების მიერ საკომუნიკაციო გეგმის შემუშავების პროცესი შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:

ა) სამიზნე აუდიტორიის განსაზღვრა;

ბ) საკომუნიკაციო არხების შერჩევა;

გ) საკომუნიკაციო აქტივობების დაგეგმვა;

დ) კომუნიკაციასთან დაკავშირებული პასუხიმგებლობების გადანაწილება;

ე) განხორციელებული კომუნიკაციის შეფასების მექანიზმის განსაზღვრა;

ვ) კრიზისულ სიტუაციებში კომუნიკაციის მექანიზმების განსაზღვრა.

აღნიშნული წესის მიხედვით, საკომუნიკაციო გეგმა შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: ღონისძიებების/აქტივობების დასახელება, სამიზნე აუდიტორია, ღონისძიების შინაარსი, განხორციელების ვადები, პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული; დაწესებულებამ წარმოადგინა საკომუნიკაციო გეგმა, რომელშიც გაწერილია შემდეგი კომპონენტები: სტრატეგიული მიზნების და ამოცანების საჯაროობა; სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიში; კურიკულუმის გაზიარება პერსონალთან; კურიკულუმის გაზიარება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან; ბავშვის შეფასების პროცესში ოჯახის ჩართულობა; ღია კარის დღე; თემის ჩართულობის წახალისება კურიკულუმის ფარლებში განხორციელებულ აქტივობებში; მშობლის ჩართულობის წახალისება კურიკულუმის ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებში; მშობლის ცნობიერების ამაღლება; მშობლის ინფორმირება ბავშვის შეფასების შედეგებზე; თემთან/ოჯახთან განხორციელებული აქტივობების შეფასება; გუნდის შეხვედრები; ბავშვის ტრანზიციის პროცესში ჩართულ მხარეებთან კომუნიკაცია; ბაღის მიღწევებისა და გამოწვევების განხილვა სკოლამდელ ცენტრთან;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულება წაახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრს, 2026 წლის 15 იანვარს, ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის გენერალური დირექტორის N 5 ბრძანებით, დამტკიცებული აქვს ,,საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“ ; (დანართი #7);

საბავშვო ბაღის ადმინისტრაცია და პერსონალი აქტიურად მუშაობს მშობლებთან პოზიტიური ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად. მათი აქტიურობის წახალისების მიზნით, დაწესებულება ხშირად მისცემს შესაძლებლობას, გამოხატონ საკუთარი ინტერესები და ინიციატივები. ჩართავენ კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში. აქტივობების დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინებენ ჩართული მხარეების დროის განრიგს, წინასწარ გააცნობენ ინფორმაციას დაგეგმილ აქტივობათა შესახებ;
ადგილზე ვიზიტისას საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს ხშირად მისცემს საშუალებას ჩაერთოს, სხვადასხვა ტიპის აქტივობებში, ინტერესებისა თუ პროფესიის გათვალიწინებით. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია
.....
.....

რჩევა
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

3. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან ურთიერთობისას იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან მეთოდებს და არხებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანება N5; 15 იანვარი 2026წ. ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის" საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ. ამავე წესის მუხლი 4. საკომუნიკაციო არხების შერჩევა -ს თანახმად:
1. საკომუნიკაციო არხების შერჩევის პროცესში დაწესებულება ხელმძღვანელობს მისი გეოგრაფიული მდებარეობის, თემის სოციალური ჩვევებისა და დაწესებულების შესაძლებლობებიდან გამომდინარე.
2. საკომუნიკაციო არხების შერჩევისას დაწესებულება ითვალისწინებს შემდეგ კრიტერიუმებს: ა) სამიზნე აუდიტორიის საჭიროებები; ბ) რესურსების (მათ შორის ფინანსური) ხელმისაწვდომობა; გ) კომუნიკაციის შინაარსი და სიხშირე; დ) უკუკავშირის მიღების შესაძლებლობა; ე) კონფიდენციალურობის დაცვის შესაძლებლობა (საჭიროების შემთხვევაში);

3. დაწესებულების მიერ მიერ გამოყენებული საკომუნიკაციო არხებია: ა) პირისპირ შეხვედრები; ბ) დისტანციური შეხვედრები ელექტრონული პლათფორმის/პლათფორმების გამოყენებით (Teams, Zoom); გ) საინფორმაციო დაფები; დ) მოკლე ტექსტური შეტყობინებები; ე) სატელეფონო ზარები; ვ) ელექტრონული ფოსტა; ზ) დაწესებულების სოციალური მედიის პლატფორმები (დაწესებულების და მის დაქვემდებარებაში მყოფი ფილიალების ფეისბუქ ჯგუფები/პროფილები); ე) სოციალური მედიის (მესენჯერი) ჩატები;
ადგილზე ვიზიტისას, დაწესებულების შესასვლელ სივრცეში, კედელზე განთავსებულია მშობელთა საინფორმაციო დაფა. საჭიროების შემთხვევაში ბავშვის დაკვირვებისა და შეფასების შედეგების გაცნობის მიზნით აღმზრდელებისა და და სხვა საგანმანათლებლო პერსონალის მონაწილეობით იგეგმება მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრები; მშობლებთან კომუნიკაციის მიზნით ასევე იყენებენ სატელეფონო ზარებს, დახურულ ჯგუფებს.
აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია
.....
.....
რჩევა
.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანება N5; 15 იანვარი 2026წ. ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის" საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ;
2. დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანება N41; 4 თებერვალი 2026წ. ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის" დაქვემდებარებაში მყოფი ფილიალების საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცების შესახებ;
3. დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანება N17, 21 იანვარი 2026წ. ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის" დაქვემდებარებაში მყოფი ფილიალების საკომუნიკაციო გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფის დამტკიცების შესახებ;

შეფასება:			
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა			
შესაბამება ☒	მეტწილად შესაბამება ☐	ნაწილობრივ შესაბამება ☐	არ შესაბამება ☐

3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

3.2.1. დაწესებულება მიზნობრივად წარმართავს ოჯახთან და თემთან ურთიერთობას

1. დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოადგენილი საკომუნიკაციო გეგმის მიხედვით, წინასწარ არის გაწერილი ოჯახთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან შეხვედრის მიზნები, რომლის მიხედვითაც უზრუნველყოფილია მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლება ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშის ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სფეციფიკასთან დაკავშირებით.
შესაბამისი თემები და აქტივობები გაწერილია დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საკომუნიკაციო გეგმაში ;

ამ მხრივ დაწესებულებას აქვს მრავალმხრივი და საუკეთესო პრაქტიკა, კერძოდ :

- დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ხელშეწყობით, განათლების სამინისტროს მხარდაჭერით და დუშეთის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ორგანიზებით, ცენტრის თანამშრომლებისთვის, საბავშო ბაღების პერსონალისთვის, დუშეთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებისთვის, ცნობიერების ამაღლების მიზნით, ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა ,,პოზიტიური მშობლობის, ადრეული და სკოლამდელი განათლების როლის მნიშვნელობის შესახებ;
- ,,მშობლობის პროგრამის" ფარგლებში დუშეთის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის მიერ დამზადდა ბროშურა პოზიტიურ მშობლობაზე. ბროშურაში მოცემულია რჩევები და სტრატეგიები, რომლებიც დაეხმარება მშობლებს, როგორ დაამყარონ შვილთან პოზიტიური კომუნიკაცია; (პოსტი გაზიარებულია დუშეთის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის გვერდზე);

- მშობელთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, დუშეთის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ფბ.გვერდზე პერმანენტულად ზიარდება პოსტერები სახვადასხვა თემებზე: თამაშის მნიშვნელობა, ჭუჭყიანი თამაშები, თამაშის განვითარების ეტაპები, ბრაზის მართვა, როგორია კარგი ბაღი;
- დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის მეთოდისტის მიერ განხორციელდა ტრენინგი ,,მიგრანტი მშობლების შვილების მხარდაჭერა ბაღში" 1 და2 ეტაპი. პროექტი განხორციელდა საერთაშორისო ასოციაცია ,,კივიტას გეორგიკას" მიერ, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) წარმომადგენლობა საქართველოში - მხარდაჭერით. (ფოტომასალა გაზიარებულია დუშეთის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის გვერდზე);
- დუშეთის მუნიციპალიტეტის მასშტაბით, კვალიფიციური აღმზრდელების, გაერთიანების მეთოდისტის და გაერთიანების სპეციალური მასწავლებლის მიერ, 6 წლამდე ასაკის ბავშვთა მშობლებისთვის განხორციელდა ,,მშობლობის პროგრამა". პროგრამა განხორციელდა 7 სესიად და მოიცავდა შემდეგ თემებს: 1. თამაში; 2. პოზიტიური კომუნიკაცია; 3. პოზიტიური დისციპლინა; 4. ადრეული წიგნიერება; 5. ბაღი, ბავშვი მშობელი;
- ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ორგანიზებით, სკოლამდელი აღზრდის ფილიალების პერსონალის და მშობლებისთვის, გაიმართა კონფერენცია. ღონისძიება გამართა ,,მაკ ჯორჯია" - პროგრამის და ,,მშობლის სკივრის კოორდინირებით; შეხვედრა მოიცავდა შემდეგ საკითხებს: 1. ეფექტური კომუნიკაცია შვილებთან; 2. გაჯეტები და ქცევის მართვა; 3. მშობლის როლი ბაღში; 4. ბავშვთა მიმართ ძალადობა და მშობლებთან კომუნიკაცია; (ფოტომასალა გაზიარებულია დუშეთის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის გვერდზე);
- ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტომ, მუნიციპალიტეტის სახვადასხვა ფილიალების წარმომადგენლებთან, განახორციელა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე, საინფორმაციო შეხვედრა, ცნობიერების ამაღლების მიზნით;

გაერთიანების სპეციალურმა მასწავლებელმა ფბ.ჯგუფში ,,ადრეული განათლება" პირდაპირ ჩართვაში გააზიარა საკუთარი გამოცდილება სპეციალური პროგრამის დახმარებით, ხელოვნური ინტელექტის მიერ შექმნილი ილუსტრირებული წიგნის შექმნის შესახებ. რაც სააღმზრდელო პროცესს ქმნის მოქნილს. პროგრამა შესაძლებლობას იძლევა, აღმზრდელმა შექმნას თემატური ზღაპრები;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

2. მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებული არიან ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრს, 2025 წლის 30 დეკემბერს, ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის გენერალური დირექტორის N 469 ბრძანებით დამტკიცებული აქვს ,,საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“ (დანართი 6);
მარეგულირებელი წესში მე-9 მუხლის- ბავშვის პროგრესის შეფასების შედეგების განხილვა- ს თანახმად:
1. დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას.
2. ბავშვის შეფასების შედეგების განხილვა ბავშვის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხორციელდება ინდივიდუალურად.
დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტისას, ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ საგანმანათლებლო პერსონალი პერიოდულად მშობლებს/კანონიერი წარმომადგენლებს გაუზიარებს ბავშვზე დაკვირვების შედეგად შეგროვებულ ინფორმაციას და შეფასების შედეგებს. შეფასების შედეგების გაცნობა მოხდება ინდივიდუალურად. აღმზრდელი მშობელს გაუზიარებს ბავშვის დაკვირვების ჩანაწერებს, ბავშვის განვითარების სტანდარტის შესაბამის შემაჯამებელ შეფასებებს და ნამუშევრებს, რომელშიც კარგად ჩანს ბავშვის სხვადასხვა უნარის განვითარება. მიიღებს უკუკავშირს და გაითვალისწინებს სამომავლო აქტივობებში მშობლის თანადგომას.
აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია
.....
.....
რჩევა
.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

3. დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების დირექტორთან და საგანმანათლებლო პერსონალთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობების განსახორციელებლად გამოყენებული იქნება თემში არსებული სხვადასხვა რესურსი. მაგალითად, მოეწყობა ექსკურსიები ახლომდებარე სხვადასხვა ორგანიზაციაში, ბაღში მოიწვევს სხვადასხვა ორგანიზაციაში დასაქმებულ პირებს (მაგალითად-ექიმის, პოლიციელის ვიზიტი ბაღში). ბავშვის სკოლაში ტრანზიციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით, ბაღი აქტიურად გამოიყენებს თემში არსებულ სკოლას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

4. დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს შესაბამის ცვლილებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანება N5; 15 იანვარი 2026წ. ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის" საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ. ამავე წესის, მუხლი 6 - განხორციელებული კომუნიკაციის შეფასების მექანიზმის განსაზღვრა-ს თანახმად:

1. კომუნიკაციის მაღალი ხარისხის შენარჩუნებისათვის, სამიზნე აუდიტორიასთან კომუნიკაციის ეფექტიანობის შესაფასებლად, დაწესებულება იყენებს უკუკავშირის შემდეგ მექანიზმებს:

ა) კითხვარები;

ბ) შენიშვნების/წინადადების ყუთი;

გ) ღია შეხვედრები;

დ) სოციალური მედიისბ (დაწესებულებისა და მის დაქვემდებარებაში მყოფი ფილიალების ფეისბუქ ჯგუფები/პროფილები) მონიტორინგი

ამ ეტაპზე ცვლილება ჯერ არ განხორციელებულა, თუმცა ინტერვიუებიდან იკვეთება, რომ დაწესებულება გეგმავს განახორციელოს ცვლილებები მშობელთა/თემის წარმომადგენელთა უკუკავშირისა და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით. ცვლილებების განხორციელება დაგეგმილია უახლოეს გეგმიურ ციკლში (შემდგომი გრძელვადიანი დაგეგმვის ეტაპზე), რაც მეთოდოლოგიის მიხევით სრულად შეესაბამება შეფასების ციკლის პრინციპებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ოჯახთან/თემთან თანამშრომლობის ამსახველი ფოტო/ვიდეო მასალა;
- დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანება N5; 15 იანვარი 2026წ. ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის" საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ;
- დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი, გენერალური დირექტორის ბრძანება N469, ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის"; 30 დეკემბერი 2025წელი (დანართი

შეფასება:			
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა[4]

4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

4.1.1. დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა და პერსონალის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულება დაკომპლექტებულია პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და ითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ მჭადიჯვრის ფილიალმა წარმოდგინა ორგანიზაციის სტრუქტურა გრაფიკული ფორმით -ორგანოგრამა, საიდანაც ჩანს, რომ ფილიალის სტრუქტურა მოიცავს შემდეგ პოზიციებს: ფილიალის დირექტორი-1 მნე-1; ექთანი-1, აღმზრდელი-4, აღმზრდელის თანაშემწე-2, მუსიკის მასწავლებელი-1, ბაღს ემსახურება ცენტრის მეთოდისტი და სპეციალური მასწავლებელი გაერთიანებიდან, მზარეული-1; მზარეულის დამხმარე-1; დამლაგებელი-1; დარაჯი-2; ცეცხლფარეში-1; მეეზოვე-1;

ვიზიტის დროს ბაღში დასაქმებული იყო 12 თანამშრომელი. ორგანოგრამა არ ითვალისწინებს დაწესებულებაში საკონსულტაციო საბჭო არსებობას. ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ მჭადიჯვრის ფილიალში მიმდინარე ყველა პროცესების შესრულებისთვის განსაზღვრულია შესაბამისი პოზიცია, თუმცა ვიზიტის დროს ვაკანტური იყო მნეს, მუსიკის მასწავლებლის, დამლაგებელის, მეეზოვის პოზიციები. დარაჯს შეთავსებული ჰქონდა ცეცხლფარეშის ფუნქცია-მოვალეობები, შესაბამისი მტკიცებულებები წარმოდგენილი იყო პირად საქმეში. მნეს ფინქცია-მოვალეობებს ასრულებდა ფილიალის დირექტორი.

[4] აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას გაითვალისწინეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თითოეული პროგრამის სახის/კურიკულუმის სპეციფიკა და დამატებით წარმოადგინეთ მათი შეფასების შესახებ ინფორმაცია (ასეთი საჭიროების შემთხვევაში).

ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის დირექტორის 2026 წლის 22 იანვრის N19 ბრძანებით დამტკიცებული ,,პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები“ განსაზღვრავს ფილიალში და ცენტრში დასაქმებულ პირთა ფუნქციებს, მოვალეობებს, ანგარიშვალდებულებისა და დაქვემდებარების სისტემას, თუმცა არ იკითხება ურთიერთჩანაცვლების საკითხები, რაც აუცილებელია პროცესების უწყვეტად მიმდინარეობისთვის. ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის დირექტორის 2026 წლის 23 იანვრის N21 ბრძანებით დამტკიცებული ,,პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ განსაზღვრულია დაწესებულებაში დასაქმებული პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

აღსანიშნავია, რომ ორგანოგრამაში ასახულია ორმხრივი კავშირები/ისრები ცალკეულ პოზიციებს (მრეცხავი-დარაჯი; დამლაგებელი-ცეცხლფარეში და სხვა) შორის, თუმცა შესაბამისი ფუნქცია-მოვალეობების აღწერაში არ იკვეთება აღნიშნული თანამშრომლობის ან ურთიერთდამოკიდებულების შინაარსი. ეს მიუთითებს სტრუქტურულ და ფუნქციურ შეუსაბამობაზე, რაც ართულებს ორგანიზაციის შიდა ურთიერთობების სწორად აღქმას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, დაწესებულების მდგრადი ფუნქციონერიბისთვის და პროცესების უწყვეტობისთვის არც ერთ დოკუმენტში არ იკითხება ურთიერთცანაცვლების საკითხები. ასევე დაწესებულების ორგანოგრამაში არ ჩანს საკონსულტაციო საბჭოს არსებობა და ორგანოგრამაში გამოყენებულია ორმხრივი ისრები, ამცირებს სქემის აღქმადობას და მართვის სტრუქტურის სიცხადეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს, მდგრადი ფუნქციონერებისა და პროცესების უწყვეტობისთვის განსაზღვროს პოზიციაზე დასაქმებული პირების ურთიერთჩანაცვლების საკითხები, გრაფიკულად გამოსახული ბაღის სტრუქტურა/ორგანოგრამა, მოიცავდეს საკონსულტაციო საბჭოს, მკაფიოდ გაიმიჯნოს იერარქიული და ფუნქციური კავშირები (მაგ., ერთმხრივი ისრები დაქვემდებარებისთვის და განსხვავებული ტიპის ხაზები თანამშრომლობისთვის, რაც ასახული იქნება ფუნქცია-მოვალეობებში)

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობები, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებას (მდგრადი ფუნქციონერებისა და პროცესების უწყვეტობისთვის განსაზღვრავს პოზიციაზე დასაქმებული პირების ურთიერთჩანაცვლების საკითხები, გრაფიკულად გამოსახული ბაღის

სტრუქტურა/ორგანოგრამა, მოიცავდეს საკონსულტაციო საბჭოს, მკაფიოდ გაიმიჯნოს იერარქიული და ფუნქციური კავშირები (მაგ., ერთმხრივი ისრები დაქვემდებარებისთვის და განსხვავებული ტიპის ხაზები თანამშრომლობისთვის, რაც ასახული იქნება ფუნქცია-მოვალეობებში) პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (ცენტრის გენერალური დირექტორი, ფილიალის დირექტორი)საჭირო რესურსი (სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ბიუჯეტი) პასუხისმგებელი პირები და ხარვეზის გამოსწორების 24 თვიანი პერიოდი. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. **აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება ნაწილობრივ შესაბამისობით.**

2. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის დირექტორის 2026 წლის 22 იანვრის N19 ბრძანებით დამტკიცებული ,,პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები“ და ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის დირექტორის 2026 წლის 23 იანვრის N21 ბრძანებით დამტკიცებული ,,პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ განსაზღვრავს დაწესებულების იერარქიულ სტრუქტურას და თითოეული თანამშრომლის მიერ შესასრულებელი ფუნქციების მკაფიოობას, რაც გულისხმობს თითოეული პოზიციის შესასრულებელი სამუშაოს და პასუხისმგებლობას, საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ანგარიშვალდებულების და დაქვემდებარების სისტემას. პირადი საქმეების შესწავლით დგინდება, რომ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულების თანდართულ დოკუმენტს წარმოადგენს დასაქმებულია ფუნქცია-მოვალეობები, რომელზეც ხელის მოწერით დადასტურებულია საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების გაცნობის ფაქტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის დირექტორის 2026 წლის 23 იანვრის N21 ბრძანებით დამტკიცებულია ,,პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები“. პერსონალის პირადი საქმეების შესწავლით დგინდება, რომ მჭადიჯვრის ფილიალში ყველა დასაქმებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები არ შეესაბამება დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. კერძოდ, კვალიფიკაცია არ უდასტურდებათ 1 აღმზრდელს (უმაღლესი აკადემიური განათლება), 2 აღმზრდელის თანაშემწეს (66 საათიანი ტრეინინგ-მოდული და უმაღლესი აკადემიური განათლება). რაც შეეხება ფილიალის დირექტორს აქვს ტექნიკური განათლება საფინანსო მიმართულებით.

აღნიშნულიად გამოდინარე, ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს, ბაღში კვალიფიციური კადრის დასაქმება.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობები, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებას (დაწესებულება უზრუნველყოფს ბაღში კვალიფიციური კადრის დასაქმებას.) პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (ცენტრის გენერალური დირექტორი, ფილიალის დირექტორი)საჭირო რესურსი (სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ბიუჯეტი) პასუხისმგებელი პირები და ხარვეზის გამოსწორების 24 თვიანი პერიოდი. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. **აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება ნაწილობრივ შესაბამისობით.**

4. ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ამ ეტაპზე, მჭადიჯვრის ფილიალის ყველა საგანმანათლებლო პერსონალი არ არის გადამზადებული პირველადი დახმარების აღმოჩენის მიმართულები. აღნიშნულ საკითხთან მიმართებით წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით ხარვეზის გამოსწორების პერიოდად განსაზრვრულია 6 თვე. დაწესებულების სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია საგანმანათლებლო პერსონალის გადამზადება პირველდი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენციაზე. დაწესებულებამ საგანმანათლებლო პერსონალის გარკვეული რაოდენობა გადაამზადა აღნიშნული მიმართულებით. ბაღში დასაქმებული საგნმანათლებლო პერსონალისა პირადი საქმეების შესწავლით დგინდება, რომ პირველადი გადაუდებელი დახმარების მიმართულებით გადამზადდა სამი აღმზრდელი და ორი აღმზრდელის თანაშემწე. არ არის გადმზადებული მუსიკის მასწავლებელი.

აღნიშულიდან გამომდნარე,ინდიკატირო მეტწილად დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალიწინებულ ვადებში, ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალის გადამზდება პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენციის მიმართულებით, რაც დადასტურდება შესაბამისი სერთიფიკატით.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4.1.2. დაწესებულებაში მოქმედებს პერსონალის მართვის მექანიზმი

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების, მათ შორის, შინაგანაწესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის დირექტორის 2026 წლის 30 იანვრის N27 ბრძანებით დამტკიცებული ,პერსონალის მართვის წესი“ და ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის დირექტორის 2023 წლის 28 აპრილის N77 ბრძანებით დამტკიცებული შრომის შინაგანაწესი არეგულირებს დაწესებულებაში პერსონალის მართვის წესებსა და პირობებს.

პერსონალის მართვის წესი ადამიანური ადგენს ადამიანური რესურსების მართვის ციკლს: დაგეგმვა/ორგანიზაციაში შესვლა/სამუშაოს მართვა/ორგანიზაციიდან გასვლა. განსაზღვრავს დაწესებულების სტრუქტურას: დასაქმებულთა იერარქიას, პირებს, დაქვემდებარებასა, ანგარიშვალდებულებას, კავშირებს; პერსონალის მოზიდვის და შერჩევის წესებს; ახალი თანამშრომლის ინტეგრაციისა და პერსონალის პრფესიული განცითარების საკითხებს.

შინაგანაწესით რეგულირდება დაწესეულებაში დასაქმებული პირების შრომითი ურთიერთობები, წახალისებისა და დისციპლინური ღონისძიებებეის გამოყენების წესები.

პირადი საქმეების შესწავლით და ინტერვიუთი დგინდება, რომ დაწესებულებაში პერსონალის აყვანა ხდება პერსონალის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, პირდაპირი დანიშვნის გზით, შრომით ხელშეკრულების საფუძველზე. პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები აკმაყოფილებს შრომის კოდექსის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების არსებითი პირობებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ მჭადიჯვრის ფილიალს გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულება 4 აღმზრდელთან და 2 აღმზრდელის თანაშემწესთან. გაფორმებული ხელშეკრულებები არ მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს. თუმცა ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ რეალურად აღმზრდელები სარგებლობენ არასაკონტაქტო საათით და მათთვის გამოყოფილია სივრცე არასაკოტაქტო საათის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობის განსახორციელებლად.

ბაღმა წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც აღნიშნულია, რომ დაწესებულება 2027 წლის იანვრამდე უზრუნველყოფს შესაბამისი ხელშეკრულების მომზადებას, რისთვისაც განსაზღვრულია შესაბამისი აქტივობები, პასუხისმგებელი პირი და ფინანსური რესურსები **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ პერიოდში, 2027 წლის იანვრამდე, აღმზრდელებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების ასახვა და ასევე განისაზღვროს საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობები.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები განსაზღვრულია ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის დირექტორის 2026 წლის 30 იანვრის N27 ბრძანებით დამტკიცებული ,,პერსონალის მართვის წესით“. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის დადგენილი პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვას და დასაქმებას, რამდენადაც თითოეული პოზიციისთვის განსაზღვრულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები. პერსონალის მართვის წესი განსაზღვრავს ვაკანტურ პოზიციაზე შერჩევის გზებს. კერძოდ კონკურსის ჩატარებით (ღია/დახურული) და პირდაპირი დანიშვნით. როგორც ინტერვიუთი გამოიკვეთა დაწესებულებასი პერსონალის შერჩევა განხორციელდა პირდაპირი დანიშვნის გზით. მარეგულირებელი წესი განსაზღვრავს პირდაპირი დანიშვნის ეტაპებს, დაწესებულება ეყრდნობა ვაკანტური პოზიციის მიმართ დადგენილ მოთხოვნებს. პირდაპირი დანიშვნის გზით ვაკანტური პოზიციის დაკავებამდე, კანდიდატთან ტარდება გასაუბრება. პერსონალის მარეგულირებელის წესი ადგენ გარკვეულ შეზღუდვებს დაწესებულებაში დასაქმების მსურველებზე. კერძოდ, საქართველოს კანონის ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ გათვალისწინებით დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმედესსქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი, მიუხედავად ნასამართლობის მოხსნისა ან გაქარწყლებისა. დაწესებულების მიერ განსაზღვრული რეგულეციები მიუთითებს, პერსონალის შერჩევა/დანიშვნის პროცესი მაქსიმალურად უნდა გამორიცხავდეს სუბიექტურ გადაწყვეტილებების მიღებას და გამოყენებული პროცედურები და მეთოდები არის გამჭირვალე. პერსონალის პირადი საქმეების შესწავლით დგინდება, რომ დაწესებულებაში პერსონალის შერჩევა ხდება პირდაპირი დანიშვნის გზით, წარმოდგენილია კანონმდებლობით გათვალიწინებული ცნობები ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“, თუმცა ყველა თანამშრომელი არ არის შერჩეული დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად. პერსონალის პირად საქმეებში წარმოდგენილია პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები და დანიშვნის აქტები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს პოზიციის შესაბამისო კადრის შეჩევა, მის მიერ განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალიწინებით

რჩევა

.....

.....

..

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობები, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებას(დაწესებულებამ უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისო კადრის შეჩევას, მის მიერ განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალიწინებით. ყველა პერსონალის პირად საქმეში გათავსდეს ცნობა-,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“)საჭირო რესურსი (სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ბიუჯეტი), პასუხისმგებელი პირები და ხარვეზის გამოსწორების 24 თვიანი პერიოდი. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. **აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება ნაწილობრივ შესაბამისობით.**

4. დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პერსონალის მართვის წესი განსაზღვრავს ახალი თანამშრომლის, სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის მექანიზმებს. კერძოდ, ახალი თანამშრომლისთვის ორგანიზაციის მისიის, ღირებულებების, ისტორიის, სტრუქტურის გაცნობა, ახალი თანამშრომლის გაცნობა გუნდის წევრებთან, ხელმძღვანელებთან და სხვა კოლეგებთან, საჭირო რესურსებზე, აღჭურვილობაზე, პროგრამულ უზრუნველყოფაზე ახალი თანამშრომლის წვდომის უზრუნველყოფა; ამ წესის, შინაგანაწესის, მისი პოზიციისთვის შემუშავებული სამუშაო აღწერილობის, უსაფრთოხების წესების და დაწესებულებაში არსებული სხვა ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ ახალი თანამშრომლის ინფორმირება.

პირადი საქმეების შესწავლით ირკვევა, რომ ყველა თანამშრომლის პირად საქმეშია განთავსებული შინაგანაწესის გაცნობის ხელმოწერილი ფორმა და პოზიციის შესაბამისი ფუნქცია-მოვალეობების გაცნობის ფაქტი დადასტურებული ხელმოწერით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

..

რჩევა

.....

.....

..

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

5. დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობით და გუნდურ პრინციპებს, რამდენადაც დაწესებულებაში მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა ხდება ერთობლივი მუშაობით და შეთანხმებით, რისთვისაც ხშირ შემთხვევაში ცენტრის დირექტორის მიერ იქმნება სამუსაო ჯგუფები. კერძოდ, მისია, ხედვა და ღირებულებების ფორმირების პროცესში, მნიშვნელოვანის იყო გუნდური მუსაობა, რისთვისაც შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. ასევე, კურიკულუმის შერჩევის დროს, გრძლევადიანი თუ მოკლევადიანი გეგმების შემუშავებასა და განხორციელებაში. გუნდუროობა კარგად ჩანდა ვიზიტის დროს, დაწესებულების მთელი პერსონალი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ჩართული იყო პროცესში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....
.....
..

რჩევა

.....
.....
..

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....
..

4.1.3. დაწესებულება ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე

1. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2026 წლის 30 იანვრის N27 ბრძანებით დამტკიცებული ,,პერსონალის მართვის წესი“ ადგენს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით პროფესიული საჭიროებათა მოკვლევის საკითხებს. დოკუმენტი განსაზღვრავს შეფასების პროცესში მონაწილე მხარეებს, შეფასების ასპექტებს, საჭიროებათა მოკვლევის მეთოდებს და ეტაპებს. დოკუმენტის თანახმად შეფასებას ექვემდებარება დაწესებულების ყველა თანამშრომელი. დოკუმენტი განსაზღვავს პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და საჭიროებათა მოკვლევის მეთოდებს: თვითშეფასება, კითხვარები, მართვა მიზნების მიხედვით და ხელმძღვანელის უშუალო შეფასება. თუმცა არ ჩანს რა პერიოდულობით ხდება პერსონალის შეფასება და ვინ არის შემფასებელი. არ არის წარმოდგენილი პერსონალის შეფასებისა ინსტრუმენტები. პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობები ძირითადად ავტორიზაციის სტანდარტის დასაკმაყოფილებლად განხორციელდა.

დაწესებულებამ პერსნალი გადაამზადება გარკვეული საჭიროებეის მიხედვთ. კერძოდ, აღმზრდელები საქართველოს განათლების, მეცნიერებისდა ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ შემუშავებული აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტეინინგ მოდულის შესაბამისად. პირველად სამედიცინო დახმარების კომპეტენციის მიმართულებით გადამზადდა 3 აღმზრდელი და აღმზრდელის თანაშემწეები. სურსათის უვნებლობის მენეჯმენტის სისტემის HACCP დანერგვასთან დაკავშირებით გადამზადდა ბაღის დირექტორი, ექთანი, მზარეული, მზარეულის დამხმარე. ასევე, პროფესიული განვითარების მიმართულებით საგანმანათლებლო პერსონალს გავლილი აქვთ მრავალფეროვანი მიზნობრივი ტრეინინგები.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს პერსონალისა შეფასებისა და საჭიროებათა მოკვლევის მეთოდებს, თუმცა არ არის განსაზღვრული პერსონალის სამუშაოს შეფასების პერიოდულობა და პასუხისმგებელი პირი. ასევე, არ არის წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები (კითხვარენი ან/ და დაკვირვების ფორმები). პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული ტრეინინგები სპონტანურია და ძირითადა ავტორიზაციის სტანდარტის დასაკმაყოფილებლად არის განხორციელებული, თუმცა განხორციელებული ტრეინინგები ემსახურება დასაქმებული პროფესიულ განვითარებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტში განსაზღვროს პერსონალის საქმიანობის შეფასების პერიოდულობა და პასუხისმგებელი პირი. შეიმუშაოს შეფასებისა და საჭიროებათა მოკვლევის კითხხვარები და დაკვირვების

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობები, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებას(დაწესებულება განსაზღვრავს შეფასების პერიოდულობას,პასუხისმგებელი პირს და შეიმუშავებს საჭიროებათა მოკვლევის კითხვარებს და ფორმებს.) პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (ცენტრის გენერალური დირექტორი, ფილიალის დირექტორი)საჭირო რესურსი (სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ბიუჯეტი) პასუხისმგებელი პირები და ხარვეზის გამოსწორების 24 თვიანი პერიოდი. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. **აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება ნაწილობრივ შესაბამისობით**

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2026 წლის 30 იანვრის N27 ბრძანებით დამტკიცებული ,,პერსონალის მართვის წესის“ მე-14 მუხლი არეგულირებს პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმებს, კერძოდ, შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე დაწესებულება გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს. პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელებისას დაწესებულება თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს როგორც დაწესებულების ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სევისებით. შესაბამისი აქტივობები გაიწერება ერთწლიან სამოქმედო ან პროფესიული განვითარების გეგმებში საჭირო ბიუჯეტის მითითებით. დაწესებულებას საჭიროებათა კვლევა არ განუხორციელებია, თუმცა 2026 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია პერსონალის პროფესიული განვითარების აქტივობები, რომელბიც ითვალისწინებს საგანმანათლებლო პერსონალის გადამმზადება პირველადი გადაუდებელი დახმარების კომპეტეციის მიმართულებით, აღმზრდელ-პედაგოგთა გადამზადება 66-საათიანი ტრენინგ-მოდულით (თამაშზე დაფუძნებული სწავლება). შიდა სამუშაო შეხვედრების (ვორქშოფების) მოწყობა გამოცდილების გაზიარებისნ მიზნით. საგანმანათლებლო პერსონალის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა, სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებთან მომუშავე პერსონალისთვის ქოუჩინგ-სესიების ჩატარება. განვითარების ინდივიდუალური გეგმების შემუშავების ტრენინგი. ძალადობის ამოცნობასადა ბავშვის რეფერირების პროცედურებთან დაკავშირებით ტრენინგის ჩატარება. ინტერვიუთი და პირადი საქმეების შესწავლის დგინდება, რომ პროფესიული განვითრების გარკვეული აქტივობები, რომელბიც გაწერილია სამოქმედო გეგმაში დაწესებულებამ განახორციელა. ნაწილს კი სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ დროს განახორციელებს.

აღნიშულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია პროფესიული განვითარების მიმართულებით ღონისძიებები ასევ დაიგეგმოს ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალისთვისაც.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის მე-14 მუხლი განსაზღვრავს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების ხელშეწყობის მექანიზმებს. კერძოდ, პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია დაწესებულების მიერ ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად, ასევე ზეპირსიტყვიერად/წერილობით პერსონალის მხრიდან. მარეგულირებელი დოკუმენტი ასევე განსაზღვავს ინიციატივების დაფიქსირებისა და მათი წახლისების მეთოდებს: პროფესიული განვითარების საჭიროებებისა და ინტერესების იდენტიფიცირება და წინადადებების წარდგენა; თანამსრომელთა ჩართულობის წახალისებით სხვადასხვა პროფესიულ ღონისძიებებში და ტრეინინგებში მონაწილეობის ხელშეწყობა. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ აღმზედელმა თავის ინიციატივით და გაერთიანების დირექტორის მხარდამჭერით გაიარა 66 საათიანაი ტრეინინგი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

..

რჩევა

.....

.....

..

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

..

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის დირექტორის 2026 წლის 22 იანვრის N19 ბრძანებით დამტკიცებული ,,პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები“,
2. ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის დირექტორის 2026 წლის 23 იანვრის N21 ბრძანებით დამტკიცებული ,,პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები“
3. ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის დირექტორის 2026 წლის 30 იანვრის N27 ბრძანებით დამტკიცებული ,პერსონალის მართვის წესი“
4. ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის დირექტორის 2023 წლის 28 აპრილის N77 ბრძანებით დამტკიცებული შრომის შინაგანაწესი
5. მჭადიჯვრის ფილიალის ორგანოგრამა
6. პერსონალის პირადი საქმეები.
7. შრომითი ხელშეკრულებები
8. ინტერვიუს შედეგები
9. მჭადიჯვრის ფილიალის შესაბამისობის გეგმა

შეფასება:			
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☒	არ შეესაბამება ☐

4.2. პროცესების მართვა

4.2.1. დაწესებულების საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას

1. დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას ამ ეტაპზე არა აქვს შემუშავებული დოკუმენტი, სადაც იდენტიფიცირებული და აღწერილი იქნება მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესები. აღნიშნულთან მიმართებით წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა. შესაბამისობით გეგმით დაწესებულება იღებს ვალდებულებას 3 თვეში, ცენტრის დირექტორისა და იურისტის ჩართულობით შეიმუშავებს და დაამტკიცებს პროცესების აღმწერ და ხარისხის უზრუნველყოფის წესს, ხოლო 2027 წლის იანვრამდე უზრუნველყოფს ხარისხზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, პროცესების აღმწერი და ხარისხის უზრუნველყოფის წესის შემუშავება და დამტკიცება, ხოლო 2027 წლის იანვრამდე ხარისხზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა..

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

ინდიკატორითან მიმართებით, დაწესებულებას ავტორიზაციის განაცხადთან ერთად წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც ხარვეზის აღმოფხვრის პერიოდად განსაზღვრული იყო 2026 წლის მარტი. თუმცა, დაწესებულება თვლის, რომ ხარვეზის

აღმოსაფხვრელად სჭირდება მეტი დრო. კერძოდ, 2027 წლის იანვრამდე. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს დაწესებულების პოზიციას. **რამდენადაც ხავეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრულია 8 თვე ინდიკატორის შეფასება რჩება იგივე მეტწილად შესაბამისი.**

2. პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას ამ ეტაპზე არა აქვს შემუშავებული,,პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის წესი“, სადაც ხარისხის უზრუნველყფის წესით განსაზღვრული იქნება ხარისხის ციკლის ეტაპები დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-გააუმჯობესე (დემინგის ციკლი) და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირი. აღნიშნულ საკითხთა მიმართებით წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა, რომელიც განსაზღვრავს ხავეზის გამოსწორების პერიოდს 2027 წლის აპრილამდე ,,პროცესების აღმწერი და ხარისხის უზრუნველყოფის წესის შემუშავება და დამტკიცება, ხოლო 2027 წლის იანვრამდე უზრუნველყოფს ხარისხზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრას.
აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 2027 წლის აპრილამდე, პროცესების აღმწერი და ხარისხის უზრუნველყოფის წესის შემუშავება და დამტკიცება, ხოლო 2027 წლის იანვრამდე ხარისხზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა.

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

ინდიკატორითან მიმართებით, დაწესებულებას ავტორიზაციის განაცხადთან ერთად წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც ხარვეზის აღმოფხვრის პერიოდად განსაზღვრული იყო 2026 წლის მარტი. თუმცა, დაწესებულება თვლის, რომ ხარვეზის აღმოსაფხვრელად სჭირდება მეტი დრო. კერძოდ, 2027 წლის იანვრამდე. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს დაწესებულების პოზიციას. **რამდენადაც ხავეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრულია 8 თვე ინდიკატორის შეფასება რჩება იგივე მეტწილად შესაბამისი.**

3. დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მჭადიჯვრის ფილიალმა წარმოდგინა ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2025 წლის 23 აპრილის №102 ბრძანებით დამტკიცებული ,,ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი“, რომელიც განსაზღვრავს ბავშვის ჩარიცხვა-ამორიცხვის პრინციპებს, ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესის ფორმებს, პერიოდულობას, ვადებს, ეტაპებს, ბავშვის ამორიცხვა, გადაყვანა და მათი განხორციელების წესებს, ზღვრული რაოდენობის ფარგლებში ბავშვების ჩარიცხვის წესს, სარეზერვო სიების წარმოება, პროცესების წარმართვაზე პასუხიმგებელი პირს/ორგანოს. ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელ წესს დანართების სახით ახლავს: ჩარიცხვის განაცხადის ფორმა, ხელშეკრულება სკოლამდელი მომსახურეობის შესახებ (კონტრაქტი), ბავშვის ანკეტა, რომელიც მოიცავს ნებართვას- კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების ფარგლებში ბავშვის დაწესებულების გარეთ გაყვანაზე და სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას ბავშვის ფოტო-ვიდეო გადაღებაზე ან/ და გამოქმეყნებაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

..

რჩევა

.....

.....

..

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

..

4. დაწესებულება აწარმოებს ბავშვებისა და პერსონალის პირად საქმეებს დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2025 წლის 23 აპრილის №102 ბრძანებით დამტკიცებული ,,ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი“, განსაზღვრავს ბაღში ჩარიცხვისთვის წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალს. თუმცა არც ერთი დოკუმენტი არ განსაზღვრავს ვინ არის პასუხისმგებელი ბავშვის პირადი საქმეების წარმოებაზე და სად ინახება იგი. ასევე რა აუცილებელი დოოკუმენტებს მოიცავს ბავშვის პირადი საქმეები.

ბავშვის ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელ წესით, ბაღში ჩარიცხვისთვის მშობელმა უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- ✓ მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადება ფილიალის დირექტორის სახელზე ;
- ✓ ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი;
- ✓ ბავშვის ჯანმრთელობის ცნობა;
- ✓ ბავშვის რეგისტრაციის ანკეტა;
- ✓ ბავშვის ფოტოსურათი 3X4
- ✓ ბავშვის რეგისტრაციის ან/და ფაქტობრივი საცხოვრებლის მისამართი
- ✓ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სპეციალისტის/დაწესებულების შესაბამისი დასკვნა/რეკომენდაცია ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- ✓ მშობლის (მშობლების)/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი;
- ✓ მშობლის (მშობლების)/კანონიერი წარმომადგენლის საკონტაქტო ინფორმაცია ტელეფონი/ელ.ფოსტა
- ✓ მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვა/უარყოფა ბავშვისთვის ფოტო და ვიდეო გადაღებაზე/გამოქვეყნებაზე;
- ✓ მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვა/უარყოფა ბავშვის დაწესებულების გარეთ გაყვანაზე (კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისთვის);
- ✓ ინფორმაცია ბავშვის ქრონიკული დაავადების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- ✓ ბავშვის სპეციალური საკვებისმიერი ალერგიების ან კვებითი აუტანლობის შესახებ.
- ✓ ინფორმაცია იმ პირის/პირების შესახებ, რომელსაც აქვს ბავშვის ფილიალიდან გაყვანის უფლება

რაც შეეხება პერსონალის პირადი საქმეების წარმოებას, რეგულირდება ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის დირექტორის 2026 წლის 30 იანვრის N27 ბრძანებით დამტკიცებული ,,პერსონალის მართვის წესის“ მე-16 მუხლით. პერსონალის მართვის წესის თანახმად, დაწესებულება აწარმოებს თანამშრომელთა პირად საქმეებს, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- ✓ პერსონალის სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია-ტელეფონი, ელფოსტის მისამართი, მისამართი;
- ✓ ავტობიოგრაფია CV;
- ✓ განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ასლი:
- ✓ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

- ✓ ცნობები/სერტიფიკატები/სხვა დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ პირის შესაბამისობას პოზიციისთვის განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან;
- ✓ კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან თანხვედრის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ✓ შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული ბრძანებებისა და შრომითი ხელშეკრულებების ასლები;
- ✓ კვალიფიკაციის ამაღლების დამადასტურებელი დოკუმენტები (მაგ: სერტიფიკატები);
- ✓ შინაგანაწესის გაცნობის ხელწერილი;
- ✓ ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (სამედიცინო დაწესებულებიდან);
- ✓ ცნობა ნარკოლოგიური აღრიცხვის შესახებ;
- ✓ ცნობა ნასამართლეობის შესახებ
- ✓ ცნობა,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“

პერსონალის პირად საქმეებში წარმოდგენილია „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-181 მუხლის მიხედვით განსაზღვრული „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ ცნობები.

მჭადიჯვრის ფილიალში დასაქმებლი ყველა პერსონალისთვის არსებობს პირადის საქმეები. პერსონალის პირადი საქმეები ინახება ფილიალში, დირექტორის ოთახში დაკეტილ კარადაში. პირადი საქმეების გაცნობით დგინდება, რომ პირადი საქმეები მოიცავს რეგულაციით დადგენილ დოკუმენტაციას. აღსანიშნავია, რომ არც ,,პერსონალის მართვის წესით“ და არც სხვა რომელიმე მარეგულირებელი დოკუმენტით არ არის განსაზღვრული სამზარეულოს პერსონალისთვის ბაქტერიების და ჭიის არ არებობის შესახებ ცნობების განახლების პერიოდი. აღნიშნული ცნობები არ არის წარმოდგენილი შესაბამისი პოზიციის პერსონალის პირად საქმეებში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულებას არა აქვს სრულყოფილი წესი, რომლის მიხედვითაც აწარმოებს პერსონალისა და ბავშვის პირად საქმეებს. ასევე სამზარეულოს პერსონალის პირად საქმეებში არ ინახება ბაქტერიების და ჭიის არ არებობის შესახებ ცნობები, არ არის განსაზღვრული აღნიშული ცნობების განახლების პერიოდულობა. შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს, პირადი საქმეების წარმოების სრულყოფილი წესის შემუშავება, რომლის მიხედვითაც მოხდება პერსონალის და ბავშვის პირადი საქმეების წარმოება. განსაზღვროს სამზარეულოს პერსონალისთვის აუცილებლად წარსადგენი ცნობების განახლების პერიოდულობა და აღნიშული ცნობები განთავსდეს სამზარეულოს პერსონალის პირად საქმეებში.

რჩევა

სასურველია, კვებითი უზრუნველყოფის მეტი უსაფრთხოებისთვის დაწესებულება მონიტორინგს უწევდეს სამზარეულოს პერსონალის ჯანმრთელობას. კერძოდ, სამზარეულოს პერსონალის ბაქტერიებსა და ჭიებზე არ არებობის შემოწმებას. აღნიშნული რეგულაციები შესაძლებელია გაიწეროს ,,პერსონალის მართვის წესში“, სადაც განსაზღვრული იქნება სამზარეულოს პერსონალისთვის ბაქტერიების და ჭიის არ არებობის შესახებ ცნობების წარმოდგენისა და განახლების პერიოდი.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

ინდიკატორითან მიმართებით, სკოლამ წარმოდგინა არგუმენტირებული პოზიცია, სადაც დაწესებულება არ ეთანხმება ექსპერტთა რეკომენდაციების ნაწილს, რომელიც ეხება სამზარეულოს პერსონალისთვის აუცილებლად წარსადგენი ბაქტერიების და ჭიის არ არებობის შესახებ ცნობების წარდგენას. დაწესებულებას მოყავს საკანონმდებლო აქტი, “სურსათის ჰიგიენის ზოგადი წესისა” და “სურსათის ჰიგიენის გამარტივებული წესის” დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის N173 ტექნიკური რეგლამენტი, რომელიც არ აწესებს კონკრეტულ ანალიზებს ან მისი განახლების პერიოდულობას. ექპერტთა ჯგუფი ეთანხმაბა აღნიშნული კანონდებლობის ფარგლებში რეგულაციების არასავალდებულობას, თუმცა, კვებითი უზრუნველყოფის მეტი უსაფრთხოებისთვის, სასურველია დაწესებულებამ ყურადღება გაამახვილოს აღნიშულ საკითხზე. რაც შეეხება ხარვეზის მეორე ნაწილს, რაც ეხება ბავშვის პირადი საქმეები წარმოების წესს, აღნიშნული ხარვეზი გათვალისწინებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში. კერძოდ, დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობები, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებას(1. დაწესებულება შეიმუშავებს ბავშვის პირადი საქმეების წარმოების სრულყოფილი წესს.2. „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ ცნობა ჰქონდეს ყველა დასაქმებულს.) პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (ცენტრის გენერალური დირექტორი, ფილიალის დირექტორი)საჭირო რესურსი (სკოლამდელი არზრდის ცენტრის ბიუჯეტი) პასუხისმგებელი პირების და ხარვეზის გამოსწორების 24 თვიანი პერიოდი. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. **აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება ნაწილობრივ შესაბამისობით.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2025 წლის 23 აპრილის №102 ბრძანებით დამტკიცებული,,ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესის“
2. ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის დირექტორის 2026 წლის 30 იანვრის N27 ბრძანებით დამტკიცებული,,პერსონალის მართვის წესი“

3. დაწესებულების სტრუქტურა/ორგანოგრამა
4. პერსონალის პირადი საქმეები
5. ჩარიცხვის განაცხადის ფორმა
6. ბავშვის რეგისტრაციის ფორმა
7. პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულება
8. მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულების შაბლონი
9. მჭადიჯვრის ფილიალის შესაბამისობის გეგმა
10. ინტერვიუს შედეგები

შეფასება:			
4.2 პროცესების მართვა			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☒	არ შეესაბამება ☐

4.3. მატერიალური რესურსი

4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:			
4.3 მატერიალური რესურსი			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☒	არ შეესაბამება ☐

4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი

4.4.1. დაწესებულების მიერ შეთავაზებული კვების მომსახურება ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:			
4.4 კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი			
შესაბამება ☐	მეტწილად შესაბამება ☒	ნაწილობრივ შესაბამება ☐	არ შესაბამება ☐

4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

4.5.1 დაწესებულებაში დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:			
4.5 სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები			
შესაბამება ☐	მეტწილად შესაბამება ☐	ნაწილობრივ შესაბამება ☒	არ შესაბამება ☐

4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება

4.6.1. დაწესებულებაში დაცულია პერსონალის და ბავშვების ფიზიკური უსაფრთხოება

1. დაწესებულება უზრუნველყოფს დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას და საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით მჭადიჯვრის ფილიალს აქვს შემდეგი მექანიზმები: ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2026 წლის 9 თებერვლის N44 ბრძანებით დამტკიცებული ,,პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის წესი“, სამედიცინო დახმარებისთვის გამოყოფილია სამედიცინო მომსახურეობის ოთახი და ჰყავს ექთანი, რომლებიც აკმაყოფილებს ექთანის პოზიციისთვის განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. პირველადი გადაუდებელ დახმარების მიმართულებით გადამზადებულია 3 აღმზრდელ და 2 აღმზრდელის თანაშემწე. ექთანთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრულია მისი ფუნქციები. ექთანი აწარმოებს სამედიცინო მასალებისა და მედიკამენტების აღრიცხვის დოკუმენტაციას. რაც შეეხება საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმას, არ არის შეთანხმებული უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან, აღნიშნულ საკითხთან მიმართებით წარმოდეგნილია შესაბამისობის გეგმა, შესაბამისი აქტივობების და ვადების მითითებით.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულებას აქვს სამედიცინო დახმარეის ოთახი და ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის სამედიცინო პერსონალი. შემუშავებულია პირველადი გადაუდებელი დახმარების წესი, აწარმოებს დახარჯული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების აღრიცხვის ჟურნალს. არა აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან, თუმცა დაწესებულებამ ამ უკანასკნელზე წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია საგანგებო სიტუაციების გეგმის შეთანხმების აქტივობა, პასუხისმგებელი პირი და ფინანსური რესურსები, ასევე განსაზღვრა ხარვეზის გამოსწორების ვადა 2027 წლის იანვრამდე. აღნიშნულიდან გამომდინარე,ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში 2027 წლის იანვრამდე.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეები არ წარმოადგენენ საფრთხეს ბავშვის და პერსონალის ჯანმრთელობისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მჭადიჯვრის ფილიალს აღრიცხული აქვს ბაღის ეზოში არსებული მცენარეები, თუმცა არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია მცენარეების თუ რამდენად უსაფრთხოა პერსონალის/ბავშვის ჯანმრთელობისთვის შესახებ. ასევე საფრთხის შემცველი მცენარეების არსებობის შემთხვევაში დაწესებულებას არა აქვს შემუშავებული პრევენციული ღონისძიებები უსაფრთხოების დაცვის მიზნით. აღნიშნულ საკითხთან მიმართებით ბაღმა წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია ხარვეზის აღმოსაფხვრელად დაგეგმილი აქტივობები, პასუხისმგებელი პირი და ფინანსური რესურსი, განსაზღვრულია ხარვეზის გამოსწორების პერიოდი 2027 წლის იანვრამდე. აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 2027 წლის იანვრამდე უზრუნველყოს, ბაღის ტერიტორიაზე არსებული მცენარეების შესახებ ინფორმაციის შეგროვება პერსონალის და ბავშვის ჯანმრთელობის უსაფრთხოებისთვის. საფრთხის შემცველი მცენარეების არსებობის შემთხვევაში პრევენციული ღონისძიებების შემუშავება.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისას დაცულია ბავშვების უსაფრთხოება და პროცესი ხორციელდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვის საფუძველზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2025 წლის 23 აპრილის №102 ბრძანებით დამტკიცებული ,,ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესს“ დანართის სახით აქვს ბავშვის ანკეტა, სადაც ერთ-ერთი

